# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 85 (629) სამშაბათი, 27 აპრილი, 1993 წელი ფასი 6 მანეთი

## წუხელ შევიტყვეთ

### ცნობები აფხაზეთიდან

25 აპრილის ღამე გუმისთის ფრონტის ხაზზე და სოხუმში მშვიდი იყო.

იმავე დღის სოხუმის აეროპორტში საქართველოსა და რუსეთის მხარეებმა გაცვალეს ტყვეები. რუსებმა გაათავისუფლეს აფხაზთა ტყვეობაში მყოფი ქართველი მფრინავი თამაზ ნადირაშვილი. ქართველმა მხარემ კი რუსი ოფიცერი სერგეი სიტნიკოვი.

კომენტარი არ უნდა სჭირდებოდეს იმ ფაქტს, რომ ამ სახის გაცვლაში რუსი სამხედროების მონაწილეობა კიდევ ერთხელ მოწმობს მათ ალიანსს აფხაზ სეპარატისტებთან.

იმავე ვერტმფრენით სოხუმში ჩამოვიდნენ გუდაუთის ხელისუფლების წარმომადგენლები, მათ შეხვდნენ ტყვეთა გაცვლისა და კონფლიქტის ზონიდან მშვიდობიანი მოსახლეობის გამოყვანის კომისიის წევრები. მხარეები შეთანხმდნენ, რომ უახლოეს დღეებში დაიწყოს მუშაობა მოსახლეობის კონფლიქტის ზონიდან გამოყვანის ახალი ეტაპის მოსამზადებლად.

იმავე რეისით გუდაუთიდან სოხუმში გადმოიყვანეს ბიჭვინთაში მცხოვრები ორი ქართული ოჯახი.

26 აპრილს დაახლოებით დილის 11 საათისათვის სოხუმს კვლავ დაუშინეს საზენიტო არტილერიის მასირებული ცეცხლი. წინასწარი მონაცემებით, მოკლულია ქალი და დაჭრილია სამი მშვიდობიანი მცხოვრები.

**იოსებ გოგაჩია.**

◆

### აფხაზეთის მხარემ მხარი დაუჭირა

მოსკოვი, 26 აპრილი. (იტარ-ტასი-ს კორ. ვადიმ ხირკინი). აფხაზეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭო მიესალმა საქართველოს პარლამენტის 22 აპრილის მიმართვას აფხაზ ხალხისადმი. როგორც აღნიშნულია აფხაზეთის უზენაესი საბჭოს დღეს გამოქვეყნებულ განცხადებაში, „რვა თვის მანძილზე საქართველომ ბოლოს და ბოლოს პირველად მოუწოდა ხალხს არა საყოველთაო მობილიზაციისათვის, სისხლისღვრის განგრძობისათვის, არამედ ომის შეწყვეტისათვის". „თუ საქართველოს პარლამენტმა ნამდვილად უარი თქვა აფხაზეთისა და საქართველოს ურთიერთობის პრობლემის ძალისმიერ გადაწყვეტაზე და გულწრფელია თავის განცხადებაში ომის შეწყვეტის აუცილებლობის შესახებ", მიაჩნიათ გუდაუთაში, ამის დადასტურება შეუძლია ჯარების გაყვანას აფხაზეთიდან, რომლის მექანიზმის განხილვისათვის მზად არის აფხაზთა მხარე.

◆

### თენგიზ კიტოვანი ბრიუსელს გაფრინდა

26 აპრილს საქართველოს თავდაცვის მინისტრი თენგიზ კიტოვანი თბილისიდან ბრიუსელს გაფრინდა. იგი მონაწილეობას მიიღებს ნატოს წევრი სახელმწიფოების წარმომადგენელთა სხდომის მუშაობაში. ვარაუდობენ, რომ იგი შეხვდება ევროპაში ნატოს ბლოკის ჯარების სარდალს გენერალ ჯონ (შალვა) შალიკაშვილს.

## ამ დღეებში

გვატყობინებენ
„საქართველოს რესპუბლიკის"
და საქინფორმის
კორესპონდენტები

ფაქტი
მოვლენა
კომენტარი

## ედუარდ შევარდნაძე: კავკასიის კონფლიქტების მოგვარების გასაღები კავკასიაშივე უნდა ვეძებოთ და ამისათვის ანკარის შეხვედრას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება

მსოფლიოს ჯერ კიდევ არა აქვს გაცნობიერებული, თუ რა დიდ საშიშროებას უქადის მას ექსტრემისტული სეპარატიზმი, — თქვა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ კომენტატორ ნატო ონიანთან თავის ტრადიციულ საორშაბათო რადიოინტერვიუში, როცა გასული კვირის მსოფლიო მოვლენებზე ისაუბრა. — ამ საშიშროების შესახებ იყო ლაპარაკი გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭოს სხდომაზე და ერთგვარი იმედი გაჩნდა, რომ ექსტრემისტული სეპარატიზმის წინააღმდეგ ეფექტიანი ღონისძიებები იქნებოდა მიღებული, მაგრამ მასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა ჯერ-ჯერობით კვლავ აკადემიურ სტილში მიმდინარეობს და ღონისძიებები, რომლებსაც ამ განხილვათა დროს იღებენ, არ არის ეფექტური, მე ადრეც ვამბობდი და ახლაც იმავე აზრს ვიზიარებ, — განაგრძო ედუარდ შევარდნაძემ, — რომ ამ საქმეში აქტიური ჩარევა უნდა ხდებოდეს და თუ ამის საჭიროება იქნება, თვით სუვერენიტეტის შეხებასაც კი არ უნდა მოვერიდოთ. იუგოსლავიაში, კერძოდ, ბოსნიაში მიმდინარე მოვლენები გვიკარნახებს ამის აუცილებლობას.

თავის დროზე მივესალმე და ახლაც მივესალმები ამერიკის ყოფილი პრეზიდენტის მიერ წამოყენებულ პროგრამას, რომელიც ნატოსათვის ახალი ფუნქციებისა და ახალი სტრატეგიის მინიჭებას ითვალისწინებს და მას ეფუძნება მთელი ევროპის უშიშროებაც. ეს იქნება ამ საერთო ევროპული ორგანიზაციის ფუნქცია. ამიტომ პირადად მე, — თქვა ედუარდ შევარდნაძემ, — კონფლიქტების მოგვარების საქმეში ნატოს მონაწილეობით უფრო მეტს მოველი, ვიდრე, ვთქვათ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჩარევით. მაგრამ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ამ საქმეში აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ და ამ დღეებში ჩვენ ველოდებით კიდეც გაეროს სპეციალურ წარმომადგენელს, რომელზეც ბატონ ბუტროს ბუტროს გალის ჩვენდამი გამოგზავნილ წერილში იყო ლაპარაკი და ეს სპეციალური წარმომადგენელი ჩვენთან ერთად მიიღებს მონაწილეობას აფხაზეთის კონფლიქტის გადაწყვეტაში, — თქვა სახელმწიფოს მეთაურმა.

შემდეგ სახელმწიფოს მეთაურმა პასუხი გასცა რადიოკომენტატორის კითხვას პოლიტიკური პროგნოზების და იმ პასუხისმგებლობის შესახებ, რომელსაც ამ პროგნოზების გამომთქმელი სახელმწიფო მოღვაწე თავის თავზე იღებს ხოლმე. — არამარტო ჩემი პროგნოზები, რომლებსაც ჰქონდა თავისი საფუძველი, არამედ სხვებისაც, რომლებიც გამოვთქვამთ, სამწუხაროდ, უყურადღებოდ დარჩენილა, — თქვა ედუარდ შევარდნაძემ, — ეს გასაგებიც არის. ყოფილ საბჭოთა კავშირში არ იყო ფართო პროგნოზირების კულტურა, ამ საქმეშიც ძალიან დაბალ დონეზე ვიდექით და ეს ახლაც ასეა. ალბათ, გახსოვთ, რუსეთში პუტჩთან დაკავშირებული ჩემი პროგნოზი ყავაზე მარჩიელობას რომ შეადარეს. სამწუხაროდ, ასეთი დამოკიდებულება მერე ძვირი დაჯდა. ამიტომ პროგნოზებს მეტი ანგარიშის გაწევა სჭირდება. როცა ქვეყანაში პროგნოზები არ კეთდება, ანალიტიკური მუშაობა არ მიმდინარეობს, ძნელია მომავალი მოვლენების მართვა, მაგრამ თუ ეს მუშაობა მიდის, ქვეყანა მოსალოდნელი მძიმე მოვლენების თავიდან აცილებას თუ არა, ყოველ შემთხვევაში, მათს შერბილებას მაინც შეძლებს. ამერიკის შეერთებულ შტატებში სპეციალური ცენტრები მუშაობენ ასეთ პროგნოზებზე და ისინი საკმაო სიზუსტით იძლევიან იმის პროგნოზებს, თუ სად რა არის მოსალოდნელი და ამას დიდ ყურადღებას აქცევენ, — დასძინა სახელმწიფოს მეთაურმა.

შეეხო რა აზერბაიჯანის პრეზიდენტ აბულფაზ ელჩიბეისა და სომხეთის პრეზიდენტ ლევონ ტერ-პეტროსიანს შორის ანკარაში მისი თაოსნობით და შუამავლობით გამართულ შეხვედრას, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ, როგორი შედეგიც უნდა მოჰყოლოდა ამ შეხვედრას, სულ ერთია, იგი მაინც იყო და არის დადებითი მოვლენა. იმას არა აქვს მნიშვნელობა, თუ ვისი თაოსნობით მოხდა იგი (თუმცა, ისე კი გამოჩნდა, თითქოს სხვა ქვეყნის ინიციატივით შედგა ეს შეხვედრა), მასში მე ვხედავ დიდი საუბრის დასაწყისს და ზრუნვას კავკასიის მშვიდობისათვის, მისი უღრუბლო ცისათვის... ამ შეხვედრით ეს მუშაობა დაიწყო, და თუ არ დაიწყო, მას საფუძველი ეყრება, რადგან პრინციპულად შევთანხმდით, რომ ერთიანი ძალით შევუდგებით კავკასიაში არსებული კონფლიქტების მოგვარებისათვის მოღვაწეობას. კავკასიის კონფლიქტებს სხვა კონფლიქტებს ვერ შევადარებთ, — განაგრძო შემდეგ ედუარდ შევარდნაძემ, — ვერ შევადარებთ თუნდაც იგივე იუგოსლავიისასაც კი, რომელიც თავისი მასშტაბით დიდი და საგანგაშოა. კავკასია ბევრად უფრო საშიშია ასეთი თვალსაზრისით, რადგან აქ სრულიად სტიქიურად, რაღაც ძალების მიერ შეიძლება ჩათრეული აღმოჩნდნენ უზარმაზარი სახელმწიფოები და ამ სტიქიამ ყველაფერი გადათელოს. მე მიმაჩნია, — განაცხადა სახელმწიფოს მეთაურმა, — რომ კავკასიის კონფლიქტების მოგვარების და თავიდან აცილების გასაღები მაინც კავკასიაშივე უნდა ვეძებოთ, და ანკარაში შემდგარ შეხვედრას ამისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. მართალია, არის განსხვავება ყარაბაღის კონფლიქტსა და, ვთქვათ, ცხინვალის კონფლიქტს შორის, მაგრამ, თუ დავაკვირდებით, ერთ კანონზომიერებას, მათ შორის მაინც დავინახავთ. ჩვენ დავიწყეთ ეს მუშაობა და დიდი იმედი გვაქვს, რომ საერთაშორისო აზრიც მხარს დაგვიჭერს, უმისოდ გაგვიჭირდება.

ეკონომიკის პრობლემებზე საუბრისას ბატონმა ედუარდმა თქვა, რომ ახლა რესპუბლიკის მთავრობა იხილავს საკითხს, რომ ფასები და ხელფასები ერთმანეთის თანაფარდობაში მოვიყვანოთ. ხელფასებმა უნდა გაუსწროს ფასების ზრდას ძირითად პროდუქტებზე მაინც, ამიტომ, თუ მთავრობა ფასების გადიდების გადაწყვეტილებას მიიღებს, მაშინ ხელფასების ზრდაც მოხდება. ამ დღეებში პანიკაც კი შეიქმნა იმის გამო, რომ ხორბლის მარაგები მინიმუმამდე შემცირდა და მისი შევსება არ ხერხდებოდა. საბედნიეროდ, უკვე მერამდენედ კვლავ ჩვენმა ოკეანისგაღმელმა მეგობრებმა გვიხსნეს მდგომარეობიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან ბათუმში 30 ათასი ტონა ხორბალი შემოვიდა, დანარჩენი გზაშია, სულ 250 ათასი ტონა ხორბალი უნდა მივიღოთ. მე მინდა, ჩვენმა ხალხმა იცოდეს ამის შესახებ და გამოხატოს თავისი მადლიერება, — თქვა ედუარდ შევარდნაძემ.

სახელმწიფოს მეთაურმა არასერიოზულად მიიჩნია მოთხოვნა, რომელიც თითქოს დასავლეთ საქართველოში გაისმა პარლამენტის გადადგომასთან დაკავშირებით. მე არ ვიცი, სად ითქვა ასეთი რამ, მაგრამ, რაკი ასეთი ხმა მოვიდა, საჭიროდ მიმაჩნია განვმარტო, რომ პარლამენტმა ბევრი რამ გააკეთა თავისი არსებობის მანძილზე. — თქვა ედუარდ შევარდნაძემ, — აბა ნახეთ, რამდენი კანონია მიღებული. მე ყველანაირად ვეცდები, თუ შეიძლება ასე ითქვას, ბოლომდე ვიბრძოლებ იმისათვის, რომ პარლამენტმა იმუშაოს. იგი ჩვენი დამოუკიდებლობის აუცილებელი ატრიბუტია და როგორიც უნდა იყოს მისი ავტორიტეტი, ის თავის საქმეს ძირითადად მაინც აკეთებს. ასეთ უპასუხისმგებლო განცხადებებს ბოლო უნდა მოეღოს. ბოლო, რაც შეეხება პარლამენტში მთავრობის გადადგომის მოთხოვნას, — განაგრძო მან, — რომელსაც მე მხარი არ დავუჭირე, ვთვლი, რომ ეს მოთხოვნა პირველი ზარი იყო და მთავრობის კაბინეტმა ეს უნდა გაითვალისწინოს, და ასეთნაირად მიიღოს. თუმცა, ისიც უნდა ვთქვა, რომ ჩვენი ქვეყანა ახლა ისეთ კრიზისშია, რომ ვერავითარი კვალიფიციური მთავრობა ვერაფერს ვერ გააკეთებს. ამიტომ თვითმიზანი არ უნდა გახდეს ვინმეს გადადგომა. მუშაობის გასაუმჯობესებლად შესაძლოა შეიცვალონ ცალკეული ადამიანები, რომლებიც, ვთქვათ, დაიღალნენ, ან ველარ მუშაობენ. თუმცა, პარლამენტს იმის უფლებაც აქვს, რომ მთავრობის კრიზისის საკითხი დააყენოს და ესეც არ უნდა გამოირიცხოს.

### 26 აპრილის რადიოინტერვიუ

შეეხო რა საქართველოს თავდაცვის მინისტრის მისიას აფხაზეთში, სახელმწიფოს მეთაურმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისი ეს მისია სასარგებლო და საჭირო მისია იყო. ამის შესახებ მე ბევრჯერ აღვნიშნე, — თქვა მან, — მაგრამ ისიც ფაქტია, რომ რომელიღაც რაზმის შესვლით აფხაზეთში საქართველო არ გაერთიანებულა. სამეგრელოში სეპარატიზმი არ არსებობს, — განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ, — ეს ვიღაცის გამოგონილია. მართალია, მთავრობა ვერ აკონტროლებს მდგომარეობას, ვთქვათ, ჩხოროწყუში, ან წალენჯიხაში, მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ წალენჯიხაში ცალკე რესპუბლიკის შექმნა სურთ. ვიდრე ქობალია აფხაზეთში შევიდოდა, იქ უკვე იყვნენ ჩასული ხობელები, ზუგდიდელები, ფოთელები, მარტვილელები, წალენჯიხელები; ჩხოროწყუს, აბაშის რაზმები, ასე რომ, სამეგრელო იქ არის. მაგრამ ქობალიას რაზმის წასვლას ჰქონდა სიმბოლური მნიშვნელობა და მე ამას მაშინვე მივესალმე, და ვთქვი, რომ ჩემთვის არა აქვს მნიშვნელობა მის პოლიტიკურ მრწამსს. თუკი იგი აფხაზეთში საქართველოს ინტერესებისათვის წავიდა, მე მას მივესალმები-მეთქი.

მე ბოდიშს ვუხდი სამეგრელოს და პირადად მადლობას მოვახსენებ იმ მოხუც ადამიანს, რომელმაც ყველას გასაგონად დამპატიჟა და მთხოვა იქ ჩასვლა, ვეცდები ეს თხოვნა მას შევუსრულო. მაგრამ საქართველოს ბევრ სხვა კუთხეშიც ვერ შევძელი ჩასვლა, მათ შორის, ვერ ჩავედი რაჭაშიც, რომელიც სტიქიამ დაანგრია...

სახელმწიფოს მეთაურს კომენტატორმა სთხოვა თავისი წინასწარი პროგნოზი გამოეთქვა რუსეთში გამართულ რეფერენდუმთან დაკავშირებით, მაგრამ მან შეფასებებისაგან თავი შეიკავა. — არ მინდა, რომ ჩემი პროგნოზებით ვინმეს პრობლემები შევუქმნა, — თქვა მან, — მით უმეტეს, რომ ჯერ გასაკეთებელია რეგიონებში, მსხვილ სამრეწველო ცენტრებში რეფერენდუმის მიმდინარეობის ანალიზი. არსებითი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორი იყო აქტიურობა. ამას შემთხვევით არ ვამბობ, შემდეგ ჩემს გამოსვლებში გაგიშიფრავ, თუ რას ვგულისხმობ. მე მგონი პრეზიდენტის დამაჯერებელ გამარჯვებასთან არ უნდა გვქონდეს საქმე. ასევე შერყეული აღმოჩნდება ალბათ, უზენაესი საბჭოს და სახალხო დეპუტატთა ყრილობის ავტორიტეტი. ამიტომ, სამწუხაროდ, მომავალში შესაძლოა უფრო მეტ გაუგებრობებთან გვექნეს საქმე. ცოტაც დავიცადოთ და ყველაფერი გაირკვევა. საერთოდ კი, სკეპტიკურია ჩემი შეფასება, — თქვა ედუარდ შევარდნაძემ.

ინტერვიუს დროს საუბარი შეეხო რესპუბლიკაში მომხდარ დანაშაულობათა ფაქტებში სამხედროთა მონაწილეობას, რაზეც სახელმწიფოს მეთაურმა განაცხადა, რომ არ უნდა გამოვყოთ ხოლმე ასე ცალკე სამხედროთა დანაშაული. — ისე თქმა უნდა, სამხედროებსაც თავისი პატრონი უნდა და მათი ეს პატრონი თავდაცვის სამინისტროა, მან უნდა უპატრონოს მათ, — თქვა ედუარდ შევარდნაძემ, — მეორეც, ისინი შვილები, ჩვენი შვილიშვილები არიან და ჩვენი ბრალია, თუკი რამ ისე არ არის, როგორც საჭიროა. არის ფაქტები, რომ რეგიონებში მოულოდნელად ჩნდება რაღაც შენაერთები. მე მინდა დავაყენო ეს საკითხი თავდაცვის სამინისტროს წინაშე და გამოვცე მათი აკრძალვის ბრძანება, რომ საერთოდ ასეთი რამ ჩემს გარეშე არ კეთდებოდეს. არავინ არ უნდა დაივიწყოს ის, რომ ასეთი რამ მთავარსარდალთან არის შესათანხმებელი.

— უნდა გვახსოვდეს, — თქვა შემდეგ სახელმწიფოს მეთაურმა, — რომ ჩვენ მეგობრებთან ერთად მტრებიც საკმაოდ გვყავს და ფხიზლად უნდა ვიყოთ. იმპერია რომ კვდება, ყველაფერი მას როდი მიჰყვება. ეს იმპერია ცოცხალი ადამიანების სახით, ჯერ კიდევ არსებობს. ეს ის ადამიანებია, რომლებიც მას ყველა ქვეყანაში ჰყავდა შეგზავნილი. მათი ცენტრი ეს იყო სახელმწიფო სახელმწიფოში, რომელიც ყველაზე საშინელი იმპერიის შენარჩუნების გარანტიაა. ასეთი ხალხი ჩვენთანაც უხვად იყო. მაგრამ ბევრი მათგანი კეთილსინდისიერად შეუდგა სამშობლოს სამსახურს და ჩვენ მათ ვაწინაურებთ და ვაჯილდოებთ კიდეც. მაგრამ არიან რეზიდენტები, რომლებიც, როგორც ადრე, ისე მოქმედებენ. ჩვენ ისინი უნდა გამოვავლინოთ. ისინი ჯაშუშები არიან. მე არ მოვითხოვ იმას, რომ ისინი დავიჭიროთ და გავანადგუროთ, მაგრამ როგორმე მათი შემობრუნება უნდა მოვახერხოთ, რომ სული საბოლოოდ არ მიყიდონ ეშმაკს და ჩადგნენ ჩვენს სამსახურში.

ინტერვიუს დასასრულს სახელმწიფოს მეთაური ნარკომანიის პრობლემას შეეხო და განაცხადა, რომ ამ პრობლემასთან დაკავშირებით, მზადდება სახელმწიფო პროგრამა და მასზე ცალკე საუბარი შედგება. — გარდა ჩვენი საშუალებებისა და შესაძლებლობებისა, — თქვა მან, — უნდა გამოვიყენოთ საერთაშორისო ძალებიც, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ საქართველო შეიძლება გახდეს ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის ერთი ცენტრი.

— ჩვენს საზოგადოებას ბევრი [illegible] აქვს, მაგრამ ყველაზე უფრო [illegible] ჭრილობებია, რომელთა [illegible] უფრო გაჭირდება, ვიდრე იმ ნანგრევების აღდგენა, ქალაქში რომ შემოგვრჩა, — თქვა სახელმწიფოს მეთაურმა კომენტატორის შეკითხვის პასუხად, თუ როდის უნდა აღდგეს თბილისის ცენტრალური ნაწილი. — როცა ცენტრის განაშენიანების პროექტს განვიხილავდით, ასე მეგონა, რომ ყველაფერი აშენებული იყო, იმდენად დიდია ახალი ცხოვრების მონატრება; როგორ გვინდა, რომ ისევე გაჩნდეს რუსთაველზე გასეირნების სურვილი, როგორც ადრე იყო. იმედია, რომ მალე ასე იქნება, რადგან ახლა ყალიბდება ახალი სპეციალური გაერთიანება და ამ საქმეში ჩაერთვნენ საკმაოდ წონიანი მეცენატებიც. ვფიქრობ, ქალაქის ცენტრი მართლაც ნამდვილ ცენტრს დაემსგავსება. ბევრმა თბილისელმა გადარიცხა ფული ამისათვის, მეც გავიღე ჩემი ლექციების ჰონორარი — 100 ათასი დოლარი და ეს თანხები დევს, მაგრამ იგი ზღვაში წვეთია. თუმცა, თუ გული გულობს და კაპიკი კაპიკს ემატება, შეიძლება ყველაზე დანგრეული უბანიც კი ნამდვილი ქალაქის ცენტრად აქციო.

**საქართველოს პარლამენტის პრესცენტრი.**

## დარბაზობა ამერიკის საელჩოში

ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოში გაიმართა დარბაზობა საქართველოში ამერიკის საელჩოს გახსნის წლისთავთან დაკავშირებით.

დარბაზობაზე მოწვეული იყვნენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე, პრემიერ-მინისტრი თენგიზ სიგუა, პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე, ვიცე-პრემიერი ზურაბ კერვალიშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჩიკვაიძე, რესპუბლიკის ხელისუფლების სხვადასხვა რანგის წარმომადგენლები. დარბაზობაზე მოვიდნენ თბილისში აკრედიტებულ დიპლომატიურ მისიათა ხელმძღვანელები.

სტუმრებს მიესალმა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ბატონი კენტ ბრაუნი.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ.

სახელმწიფოს მეთაურმა ქართველი ხალხის სახელით სთხოვა ბატონ ელჩს დიდი მადლობა გადასცეს ამერიკის პრეზიდენტს, ადმინისტრაციას იმ დიდი დახმარებისათვის, რომელსაც იგი გვიწევს.

— გუშინ, — განაგრძო ედუარდ შევარდნაძემ, — ფოთში შემოვიდა ამერიკიდან გამოგზავნილი 35 ათასი ტონა ხორბალი, დანარჩენი გემები კი გზაში არიან. ამ ტვირთმა სულზე მოგვისწრო — ქვეყანას მხოლოდ 5 დღის მარაგი ჰქონდა დარჩენილი.

### საქართველოს მინისტრთა კაბინეტში

## დღევანდელ რეალიათა პოზიციებიდან

ინფლაცია, მისი განუწყვეტელი სწრაფი ტემპი სულ უფრო ადამბლავებს საქართველოს ეკონომიკას, რომელიც ისედაც ბევრ სიძნელეს განიცდის საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლის პერიოდში. სამეურნეო ურთიერთობის დარღვევამ, რომელსაც მოჰყვა წარმოების მკვეთრი დაქვეითება, თითქმის ყველა დარგში, ბევრად განაპირობა ქვეყნის ბიუჯეტის მწვავე სენი, რაც იმით გამოიხატა, რომ გასავალი შემოსავალს მნიშვნელოვნად უსწრებს, ეს წუხილით ილაპარაკეს ამ დღეებში გამართულ რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის პრეზიდიუმის სხდომაზე, რომელიც მიმდინარეობდა პრემიერ-მინისტრ **თენგიზ სიგუას** თავმჯდომარეობით. აღნიშნეს რა, სახელმწიფო ბიუჯეტში უმაგალითო დეფიციტის სავალალო ფაქტები, მისმა მონაწილეებმა განიხილეს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია რესპუბლიკური ბიუჯეტიდან დაწესებულებებისა და ორგანიზაციების, მთელი რიგი ღონისძიებების დაფინანსების პრობლემასთან. ხაზგასმით აღინიშნა, რომ შექმნილ სიტუაციაში ეს ხარჯები ძირითადად უნდა იკისრონ ადგილობრივმა ბიუჯეტებმა.

დაამტკიცეს საბაჟო კომიტეტის დებულება, რომელიც აწესრიგებს კომიტეტის მიერ ერთიანი საბაჟო პოლიტიკის განხორციელებას, აგრეთვე, საბაჟო პროცედურებისა და გაწეული მომსახურების სახეობებს [illegible] სისტემაში, და მათ გამო, საბაჟო მოსაკრებლების განაკვეთებს. კერძოდ, საგარეო ბრუნვაში მყოფი ტვირთების გაფორმებისათვის, როგორც უსაქონლო, ასევე სასაქონლო გაცვლითი ოპერაციების დროს მფლობელები გადაიხდიან მათი საკონტრაქტო ღირებულების 0,2 პროცენტს. ამასთან, ამ გამოსაღების ნახევარი აუცილებლად უნდა გადაიხადონ უცხოური ვალუტით. საქართველოში ტრანზიტად გამავალი ტვირთების გაფორმებას კი დასჭირდება დეკლარაცია, რომელთაგან თითოეულისათვის საჭირო იქნება 100 ამერიკული დოლარის გადახდა. მაგრამ, თუ ტვირთის მფლობელი ქვეყანა მანეთის ზონაში შედის, დეკლარაციისათვის იგი სულ 10 დოლარს გადაიხდის. ერთი კილოგრამი ქონების გადატანა იურიდიულ პირებს ორი ცენტი დაუჯდებათ, ფიზიკურ პირებს კი — ერთი ცენტი. ამდენივე თანხის გადახდა მოუწევთ სახელმწიფო საზღვარზე ყოველი კილოგრამი მემკვიდრეობით მიღებული ქონების გადატანის, აგრეთვე, უგამცვლელო ტვირთის გადატანის გაფორმებისათვის. დროებით ან ნაწილობრივ კერძო მფლობელობაში მყოფ ავტობუსში, მიკროავტობუსსა და მსუბუქ ავტომობილში ერთი დასაჯდომი ადგილის ბაჟის განაკვეთი 50 ცენტით განისაზღვრა. ასეთივე განაკვეთია დადგენილი ყოველი დასაჯდომი ადგილისათვის სამგზავრო, საზღვაო და სამდინარო, საჰაერო და რკინიგზის ტრანსპორტში. რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქალაქეთა მიერ, მათ შორის დროებითი სარგებლობისათვის, შემოტანილი სატრანსპორტო საშუალებების, რეგისტრაციის მოწმობების გაცემა ასე მოხდება: ავტობუსები, მიკროავტობუსები და მსუბუქი ავტომობილები — სამ-სამი ამერიკული დოლარი, მოტოციკლები, მოტოროლერები და მოპედები — თითო დოლარი, სხვა სატრანსპორტო საშუალებები — ორ-ორი დოლარი. შესაბამისად განაწილებულია ბაჟის განაკვეთები სხვა სახეობის მომსახურებისთვისაც საზღვრის გადაკვეთის დროს. ამ ბაჟის გადახდა შეიძლება როგორც უცხოური ვალუტით, ისე საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გადახდის დღისათვის საბაზრო კურსით დადგენილი მანეთებით.

მინისტრთა კაბინეტმა მიიღო გადაწყვეტილება რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატური დაგეგმვის შესახებ. ასეთი გეგმა დამუშავდება ყოველწლიურად, მომავალი წლიდან მოყოლებული. დადგინდა, რომ ინდიკატური გეგმა შედგება სამი ნაწილისაგან: სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეფციის, პროგნოზულ-ანალიზური და საგეგმო-მარეგულირებელი ნაწილებისაგან.

სამომხმარებლო ბაზრის რეგულირების, კონკურენციის განვითარების და მონოპოლიური საქმიანობის პრაქტიკის შეზღუდვის მიზნით გადაწყდა რესპუბლიკის ტერიტორიაზე შემოღებულ იქნეს მონოპოლიურ საწარმოთა და გაერთიანებათა სახელმწიფო რეესტრი. განიხილეს აგრეთვე რესპუბლიკის ვაჭრობისა და მატერიალური მომარაგების სამინისტროს სისტემაში სამეურნეო საქმიანობის დემონოპოლიზაციისა და ამ დარგში მართვის სტრუქტურის ღონისძიებათა შესახებ საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 17 მარტის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის საკითხი. დამტკიცდა დებულება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შესახებ. ასეთი საზოგადოება არის ფიზიკურ ან იურიდიულ პირთა გაერთიანება ერთობლივი სამეურნეო საქმიანობისათვის ხელშეკრულების საფუძველზე. მისი საწესდებო კაპიტალი იქმნება მონაწილეთა მხოლოდ საპაიო შენატანებისაგან და უნდა შეადგენდეს სულ ცოტა 500 ათას მანეთს.

რესპუბლიკაში თხევად გაზზე ფასების მნიშვნელოვან ზრდასთან დაკავშირებით, აგრეთვე ამ სათბობით მოსახლეობისა და სხვა მომხმარებლების მომარაგების უზრუნველყოფის მიზნით მიღებულია გადაწყვეტილება დაწესდეს გაზის სარეალიზაციო ფასი ერთ კილოგრამში 115 მანეთის ოდენობით.

სხდომაზე განიხილეს „სტატისტიკის შესახებ", „სახელმწიფო სტატისტიკური საანგარიშგებო დისციპლინის დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ", „ვეტერინარული მედიცინის შესახებ" კანონთა პროექტები. მოიწონა რა ისინი, მინისტრთა კაბინეტმა გადაწყვიტა ეს კანონპროექტები დასამტკიცებლად წარუდგინოს რესპუბლიკის პარლამენტს. განიხილეს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების სხვა საკითხებიც.

## ნომერში

- ⊙ წარმატების საიდუმლო — შემოქმედებითი, ნაყოფიერი გარჯა. 3
- ⊙ სახსოვრად დატოვებული ლექსი და სიყვარული. 4

## ეროვნული ვალუტა ჩვენი დამოუკიდებლობის საფუძველია

თავის გუშინდელ რადიოინტერვიუში სახელმწიფოს მეთაურმა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ დიდი ყურადღება დაუთმო კუპონებთან დაკავშირებულ ზოგიერთ პრობლემას და უშუალოდ მიმართა რესპუბლიკის ბიზნესმენებსა და კომერციულ სტრუქტურებს.

კუპონების გამოშვება იძულებითი ნაბიჯი იყო, რომელიც ჩვენ გადავდგით, — განაცხადა მან, — მაგრამ ამ ნაბიჯში პოზიტიური მომენტიც აუცილებლად უნდა შევნიშნოთ და დავინახოთ. ეს არის ისეთი ნაბიჯი, რომელსაც დამოუკიდებლობისაკენ მივყავართ, ეს არის ღონისძიება, რომელიც აუცილებელია იმისათვის, რომ შემდგომში ჩვენ გვქონდეს საკუთარი ვალუტა, კუპონები უკვე იქცა ჩვენს ძირითად საზრუნავ საშუალებად. მაგრამ ზოგიერთი რამ მის დასაცავად მაინც გამორჩათ, თუმცა მასზე მუშაობს სპეციალური კომისია, რომელსაც ვიცე-პრემიერი ბატონი გოცირიძე ხელმძღვანელობს; ამაზე მუშაობს აგრეთვე ჩვენი ეროვნული ბანკიც. როცა ასეთი ფასიანი ფულის ნიშანი შემოდის ხმარებაში, საჭიროა მოქმედებდეს კერძო ფასიანი ქაღალდების ბირჟა და ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. სამწუხაროდ, ასეთი ბირჟა დახურეს, სამაგიეროდ ასეთი ბირჟა კი არ გაიხსნა. იყო სხვა შეზღუდვებიც. საჭირო იქნება ეს შეცდომები გამოვასწოროთ. მაგრამ როგორიც უნდა იყოს კუპონის წონა, ჩვენ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ იგი ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობის ატრიბუტია და ყოველნაირად უნდა ვეცადოთ, რომ მას ფასი შევუნარჩუნოთ, ამიტომაც მივმართავ და შევახსენებ ჩვენს კომერციულ სტრუქტურებს, რომ მათი გაჩენა და ასპარეზზე გამოსვლა სახელმწიფოს დამსახურებაა, როცა საბაზრო ურთიერთობებს გზა გავუხსენით და ამის დაწყება ალბათ სწორი არ იქნებოდა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ქვეყანაში ბევრი თქვენით არც არის კმაყოფილი, ამიტომ თქვენ სახელმწიფოს კი არ უნდა ებრძოდეთ, პირიქით, ხელი უნდა შეუწყოთ მის წინსვლას და განვითარებას. სახელმწიფო კი, თავის მხრივ, ყველაფერს გავაკეთებთ თქვენი დახმარებისათვის, მაგრამ თქვენც არ უნდა მიმართოთ ისეთ აქციას, რომ კუპონი გაუფასურდეს. ეს ჩვენი ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგ გამოსვლა იქნებოდა. მე ვფიქრობ, უნდა ამოქმედდეს თქვენი მოქალაქეობრივი მოვალეობის გრძნობა, როგორც ეს საქართველოს მოქალაქეებს ეკადრებათ, თქვა მან ამ თავის რადიომიმართვაში.

## საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის განკარგულება

1. საქართველოს [illegible] რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების [illegible] საკითხების შესადგენად და შესასრულებლად, ურთიერთგასაზიარებელი და შეთანხმებული გადაწყვეტილების მისაღებად შეიქმნას ორმხრივი შერეული კომისია, რომლის შემადგენლობაში საქართველოს მხრივ შეყვანილ იქნენ შემდეგი თანამდებობის პირნი:

1. **ზურაბ კერვალიშვილი** — საქართველოს ვიცე-პრემიერი,
2. **ნოდარ ნათაძე** — საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების კომისიის თავმჯდომარე,
3. **ანატოლი კამკამიძე** — საქართველოს შეიარაღებული ძალების სარდალი, თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე,
4. **მიხეილ გურგენიძე** — საქართველოს ტრანსპორტის მინისტრი,
5. **დავით სალარიძე** — საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე,
6. **ვლადიმერ ჩიქოვანი** — საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის სამხედრო კონსულტანტთა ჯგუფის უფროსის მოადგილე,
7. **ფრიდონ ინჯია** — საქართველოს კავშირგაბმულობის მინისტრი.

2. ეცნობოს შერეული კომისიის საქართველოს მხარის შემადგენლობა ამიერკავკასიაში განლაგებული რუსეთის ჯარების ჯგუფის სარდალს გენერალ-ლეიტენანტ თ. რეუტს.

**ე. შევარდნაძე.**

## მის აღმატებულებას ბატონ ვახტანგ გოგუაძეს საქართველოს პარლამენტის სპიკერს

ბატონო სპიკერო,

გულითად მადლობას მოგახსენებთ პირადად თქვენ, თქვენო აღმატებულებავ და თქვენი პარლამენტის დეპუტატებს, სპეციალისტებსა და თანამშრომლებს იმ დიდი წვლილისა და თანადგომისათვის, რომელიც გამოიჩინეთ შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის საპარლამენტო ასამბლეის შექმნის საქმეში.

იმედი მაქვს, რომ კვლავაც ასეთივე მხარდაჭერას აღმოგვიჩენთ საპარლამენტო ასამბლეის ნაყოფიერი მუშაობის უზრუნველსაყოფად.

გულწრფელი პატივისცემით

**ჰუსამეთინ ჯინდორუქი,**
თურქეთის მეჯლისის თავმჯდომარე.

### თანადგომა

## ქართველ ბიზნესმენთა საჩუქარი

მოსკოვში მოღვაწე ქართველმა ბიზნესმენებმა — ფირმა „აკერის" პრეზიდენტმა ნოდარ ხახუტაძემ და ვიცე-პრეზიდენტმა ნუგზარ შევარდნაძემ გაჭირვების ჟამს, როცა რესპუბლიკის გარეთ შეწყვეტილი იყო ფულადი საბანკო ოპერაციები, სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს გაუწიეს უდიდესი დახმარება და ბელარუსის რესპუბლიკაში გადარიცხეს 2700 ტონა ქერის თესლის ღირებულება — 221 მილიონი მანეთი. მარტო ეს დახმარებაც საკმარისია იმისათვის, რომ ამ ფირმის მიმართ უდიდესი მადლიერება გამოგვეთქვა.

მაგრამ ამ დღეებში მოსკოვიდან მიღებულმა ცნობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ჩვენმა თანამემამულეებმა გადაწყვიტეს, რომ ბელარუსის რესპუბლიკაში თესლის შესაძენად გადარიცხული 221 მილიონი მანეთი აჩუქონ რესპუბლიკას. კიდევ ერთხელ გულწრფელ მადლობას ვუხდით ბატონებს ნოდარ ხახუტაძეს და ნუგზარ შევარდნაძეს მათი უანგარო, ჭეშმარიტი ქველმოქმედებისათვის. ღმერთმა უმრავლოს საქართველოს ასეთი მამულიშვილები.

**ბონდო ჯიქია,**
საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრის მოადგილე.

## თავდაცვის ფონდის რესპუბლიკური კრება

1993 წლის 28 აპრილს, 12 საათზე, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მცირე დარბაზში ჩატარდება საქართველოს თავდაცვის ფონდის წევრების წარმომადგენელთა რესპუბლიკური კრება.

# საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილება

## სახელმწიფო საწარმოების, სახელმწიფო საწარმოთა გაერთიანებების სააქციო საზოგადოებებად გარდაქმნის ორგანიზაციულ ღონისძიებათა შესახებ

**სახელმწიფო** საწარმოთა პრივატიზაციის დაჩქარებისათვის საჭირო პირობების შექმნის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი **ადგენს:**

1. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ, საქართველოს რესპუბლიკაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკების, ქალაქების და რაიონების ქონების მართვის ტერიტორიული ორგანოები სახელმწიფო საწარმოების პრივატიზაციის სახელმწიფო პროგრამის საფუძველზე შეუდგნენ სააქციო საზოგადოებებად გარდაქმნას სახელმწიფო საწარმოებისა (საზოგადოებრივი მეურნეობების გარდა), საწარმოო და სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებებისა (მათი სამართლებრივი სტატუსის მოყვანით საქართველოს რესპუბლიკის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში), აგრეთვე იმ სააქციო საზოგადოებებისა, რომელთა საწესდებო კაპიტალის 50 პროცენტზე მეტი სახელმწიფოს საკუთრებაში იმყოფება. საწარმოთა ნებაყოფლობითი გაერთიანებების შექმნა და აქციონირება განხორციელდეს საქართველოს რესპუბლიკის ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის გათვალისწინებით.

სააქციო საზოგადოებად ამ დადგენილების შესაბამისად გარდაქმნას არ ექვემდებარებიან სახელმწიფო საწარმოები, რომლებიც საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოების პრივატიზაციის სახელმწიფო პროგრამის შესაბამისად პრივატიზებული უნდა იქნენ სხვა მეთოდებით, აგრეთვე საწარმოები უცხოური ინვესტიციების წილობრივი მონაწილეობით.

აღნიშნული სამუშაოები დამთავრდეს 1993 წლის 15 ივლისამდე.

2. დამტკიცდეს თანდართული დებულება „სახელმწიფო საწარმოთა სააქციო საზოგადოებებად გარდაქმნის შესახებ“ და „სააქციო საზოგადოების ტიპობრივი წესდება“ (დანართები 1,2).

3. სახელმწიფო საწარმოთა გარდაქმნა სააქციო საზოგადოებებად ხორციელდება ყველა საწარმოში შექმნილი პრივატიზაციის სამუშაო კომისიის მიერ.

პერსონალური პასუხისმგებლობა შესაბამისი დოკუმენტების მომზადებისა და კომისიისათვის მათი დროული წარდგენისათვის ეკისრებათ საწარმოთა ხელმძღვანელებს.

4. ამ დადგენილების შესაბამისად შექმნილი სააქციო საზოგადოებების დამფუძნებლები სახელმწიფოს მხრიდან არიან სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო ან მისი შესაბამისი ორგანოები ადგილებზე.

5. დაწესდეს, რომ ამ დადგენილების შესაბამისად შექმნილი სააქციო საზოგადოებების ყველა აქცია, რომელიც სახელმწიფოს საკუთრებაშია, შეიძლება გაიყიდოს ან გადაცემულ იქნეს მხოლოდ პრივატიზაციის შესახებ საქართველოს რესპუბლიკაში მოქმედი კანონმდებლობის და ამ დადგენილების შესაბამისად.

6. საწარმოებმა, რომლებიც არიან ნებაყოფლობითი გაერთიანებების (მათ შორის კონცერნების, ასოციაციების და სხვ.) წევრები, დაადგინონ 1993 წლის 1 ივნისამდე გაერთიანების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გარდაქმნან ისინი ამხანაგობად ან სააქციო საზოგადოებად მათ საწესდებო კაპიტალში დამფუძნებლების წილის იმავდროული განსაზღვრით.

სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მიერ აღნიშნული გაერთიანებების გამგებლობაში (ბალანსზე) ადრე გადაცემული სახელმწიფო ქონება შეიტანება საწესდებო კაპიტალში სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ან მისი ტერიტორიული ორგანოების მიერ, თუ გაერთიანება გარდაქმნილი იქნება სააქციო საზოგადოებად. ქონების მართვის ტერიტორიული ორგანოების მიერ სახელმწიფო საწარმოებისათვის, ამხანაგობებისათვის და სააქციო საზოგადოებებისათვის, რომლებიც იქმნება გაერთიანებების გარდაქმნით, ქონებრივი შენატანის გადაცემის წესი განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მიერ.

7. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ თავისი კომპეტენციის ფარგლებში მიიღოს ნორმატიული აქტები, ამ დადგენილების შესრულების უზრუნველსაყოფად.

8. სააქციო საზოგადოების გამგეობის უფლებამოსილებათა განხორციელება ეკისრებათ გარდასაქმნელი საწარმოს ადმინისტრაციის ადრე დანიშნულ თანამდებობის პირებს.

გარდასაქმნელი საწარმოს ხელმძღვანელი ასრულებს სააქციო საზოგადოების გენერალური დირექტორის მოვალეობას.

9. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ორი კვირის ვადაში დაამტკიცოს პრივატიზაციის ტიპობრივი გეგმა.

10. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ტერიტორიულმა ორგანოებმა საქართველოს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტის ტერიტორიულ ორგანოებთან ერთად 1993 წლის 5 მაისამდე დაადგინონ იმ საწარმოთა სიები, რომლებიც ექვემდებარება სააქციო საზოგადოებად გარდაქმნას ამ დადგენილების შესაბამისად, და სიის ერთი საკონტროლო ეგზემპლარი წარუდგინონ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს.

11. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის ნორმატიული აქტები მოყვანილი იქნეს ამ დადგენილების შესაბამისობაში, გადაისინჯოს და გაუქმდეს საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროთა, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებათა აქტები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ამ დადგენილებას.

12. ამ დადგენილების შესრულების კონტროლი დაეკისროს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს.

13. დადგენილება გამოქვეყნდეს პრესაში.

**საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი**
**თ. სიგუა.**

---

**დამტკიცებულია საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 14 აპრილის № 288 დადგენილებით (დანართი № 1)**

# დებულება სახელმწიფო საწარმოთა სააქციო საზოგადოებად გარდაქმნის შესახებ

**ეს** დებულება განსაზღვრავს სახელმწიფო საწარმოების, იმ სამეცნიერო-საწარმოო და საწარმოო გაერთიანებების, აგრეთვე მათი სტრუქტურული ქვეგანაყოფების სააქციო საზოგადოებებად გარდაქმნის წესს, რომელთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა არ შეესაბამება საქართველოს რესპუბლიკაში მოქმედ კანონმდებლობას.

### ნაწილი I

### საწარმოთა სააქციო საზოგადოებებად გარდაქმნის ჩატარების წესი

1. სააქციო საზოგადოებებად აუცილებელ გარდაქმნას ექვემდებარება სახელმწიფო საკუთრების ყველა საწარმო, საწარმოო და სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება (შემდგომში — „საწარმო“), რომელთა ძირითადი ფონდების საბალანსო ღირებულება 1993 წლის 1 იანვრისათვის 100 მილიონ მანეთზე მეტია. მნიშვნელობა არა აქვს საწარმოთა წევრობას ტრესტების, კონცერნების, ასოციაციების, კავშირების და სხვა ტიპის გაერთიანებების შემადგენლობაში.

2. სახელმწიფო საწარმოები, რომელთა ძირითადი ფონდების ღირებულება 1993 წლის 1 იანვრისათვის შეადგენდა 30-დან 100-მდე მილიონ მანეთს, აგრეთვე ამ დებულების პირველ პუნქტში მითითებული საწარმოების (გაერთიანებების) ქვეგანაყოფები, რომლებიც არ არიან იურიდიული პირები და რომელთა ძირითადი ფონდების ღირებულება 1993 წლის 1 იანვრის მონაცემებით შეადგენდა 30 მილიონ მანეთზე მეტს, შეიძლება იქნენ გარდაქმნილი სააქციო საზოგადოებებად მათი შრომითი კოლექტივების და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ან მისი შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს გადაწყვეტილებით საქართველოს რესპუბლიკაში მოქმედი ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის შესაბამისად.

აღნიშნული ქვეგანაყოფების გარდაქმნა სააქციო საზოგადოებებად ხორციელდება მათი დამოუკიდებელ სახელმწიფო საწარმოებად წინასწარი გარდაქმნის გარეშე. გადაწყვეტილება გარდაქმნის შესახებ მიიღება სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ან მისი შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს მიერ ქვეგანაყოფის საწარმოს მუშაკთა საერთო კრების ოქმიდან ამონაწერის საფუძველზე.

ამასთან, იმ საწარმოს მუშაკთა თანხმობა, რომელშიც შედის ქვეგანაყოფი, არ მოითხოვება.

3. ყველა საწარმოში, აგრეთვე მეორე პუნქტში მითითებულ ქვეგანაყოფებში იქმნება სამუშაო კომისიები პრივატიზაციის დარგში (შემდგომში — „კომისია“), რომლებიც მოქმედებენ ამ დებულების მესამე ნაწილის შესაბამისად.

4. კომისია თავის პასუხისმგებლობით ამზადებს და არაუგვიანეს 1993 წლის 1 ივნისამდე წარადგენს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში ან მის ტერიტორიულ ორგანოში შემდეგ დოკუმენტებს: პრივატიზაციის გეგმას, ქონების შეფასების აქტს და სააქციო საზოგადოების წესდებას (შემდგომში — „დოკუმენტები“).

თუ 1993 წლის 1 ივნისამდე დოკუმენტები არ იქნება წარდგენილი, ამ დებულების პირველ პუნქტში მითითებული საწარმოების (გაერთიანებების) დოკუმენტების მომზადება დაევალება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ან მის ტერიტორიული ორგანოს მიერ შექმნილ საწარმოს პრივატიზაციის კომისიას.

5. ამ დებულების თანახმად შექმნილი სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალის სიდიდე დადგენილი წესით განისაზღვრება შეფასების დროებითი მეთოდური მითითებებით.

სააქციო საზოგადოებას გადაეცემა სოციალურ-კულტურული, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების და სხვა ობიექტები, რომელთათვისაც მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულია შეზღუდვები ან დადგენილია პრივატიზაციის განსაკუთრებული რეჟიმი და რომელთა შემდგომი გამოყენების წესი განისაზღვრება პრივატიზაციის გეგმით. სააქციო საზოგადოებისათვის გადასაცემი ქონების შემადგენლობა ობიექტების მიხედვით მტკიცდება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ან ტერიტორიული ორგანოს მიერ. აღნიშნული ობიექტების ღირებულება არ შეიტანება სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალში.

6. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო ან ტერიტორიული ორგანო დოკუმენტებს განიხილავს წარმოდგენიდან 10 დღიან ვადაში პრივატიზაციის შესახებ კანონმდებლობით დადგენილი წესით, ამტკიცებს სააქციო საზოგადოების წესდებას, ქონების შეფასების აქტს და პრივატიზაციის გეგმას. აღნიშნული დოკუმენტების ამ დებულებასთან შეუსაბამობის გამოვლენის შემთხვევაში ორკვირიან ვადაში შეაქვს მათში აუცილებელი ცვლილებანი.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ან ტერიტორიული ორგანოს მიერ დამტკიცებული საწარმოს პრივატიზაციის გეგმა წარმოადგენს გადაწყვეტილებას მისი გარდაქმნის შესახებ სააქციო საზოგადოებად.

7. იმ საწარმოთა სიებს, რომლებიც პრივატიზაციის სახელმწიფო პროგრამით და ამ დებულების შესაბამისად ექვემდებარებიან სააქციო საზოგადოებებად გარდაქმნას, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო წარმოადგენს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში დასამტკიცებლად, რის შესახებაც ეცნობება შესაბამის სამინისტროს ან უწყებას.

იმ შემთხვევაში, თუ მინისტრთა კაბინეტი ორი კვირის ვადაში არ იღებს მოტივირებულ გადაწყვეტილებას საპრივატიზაციო ობიექტის პრივატიზაციის შეჩერების შესახებ, პრივატიზაციის გეგმა ითვლება დამტკიცებულად და საწარმო ექვემდებარება პრივატიზაციას.

8. დავა ქონების, ღირებულების და შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ, რომელიც წარმოიშობა საწარმოებს და ქვეგანაყოფებს შორის მათი გარდაქმნის დროს, განიხილება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ან მისი შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს მიერ.

9. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო ან ტერიტორიული ორგანო, როგორც სააქციო საზოგადოების დამფუძნებელი, 1993 წლის 20 ივნისამდე წარადგენს სახელმწიფო რეგისტრაციისათვის დამტკიცებული პრივატიზაციის გეგმის პირს, განცხადებას რეგისტრაციაზე და სააქციო საზოგადოების წესდებას. სააქციო საზოგადოების რეგისტრაცია ხდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამ დებულების შესაბამისად დაფუძნებული სააქციო საზოგადოებების რეგისტრაციისას სარეგისტრაციო მოსაკრებელი და სხვა გადასახდელები არ აიკრიბება.

10. სააქციო საზოგადოებების რეგისტრაციის მომენტიდან საწარმოს, ქვეგანაყოფის პასივები და აქტივები მიიღება სააქციო საზოგადოების მიერ. იგი ხდება გარდაქმნილი საწარმოს უფლებების და მოვალეობების მემკვიდრე. ქვეგანაყოფების გარდაქმნით შექმნილი სააქციო საზოგადოებების უფლებამემკვიდრეობის საზღვრები დგინდება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ან მისი შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს გადაწყვეტილებით.

ყველა აღნიშნულ შემთხვევაში განაწილებითი გადასაცემი ბალანსების შედგენა არ მოითხოვება. სააქციო საზოგადოების ქონების შემადგენლობა მისი დაარსების მომენტში აისახება მისი შეფასების აქტში. აქციების გამოშვების ორგანიზაციაზე, მათ სწორ აღრიცხვაზე პერსონალური პასუხისმგებლობა ეკისრებათ სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელ მუშაკებს.

სააქციო საზოგადოება მისი რეგისტრაციის მომენტიდან გამოდის შესაბამისი სამინისტროს, დაწესებულების და ადგილობრივი ადმინისტრაციის დარგობრივი მმართველობის ორგანოს მართვის სტრუქტურიდან.

11. აქციონერთა პირველი კრება ტარდება არაუგვიანეს 2 თვისა სააქციო საზოგადოების რეგისტრაციის დღიდან.

სააქციო საზოგადოების დირექტორთა საბჭოს ფორმირება ხდება მისი წესდების შესაბამისად.

12. რეგისტრაციის შემდეგ სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელობა ვალდებულია ერთი კვირის ვადაში:

ა) მიიღოს გადაწყვეტილება პრივატიზაციის სახელმწიფო პროგრამით განსაზღვრული შეღავათების შესაბამისად საწარმოს მუშაკებსა და კანონმდებლობით მათთან გათანაბრებულ სხვა პირებს (შემდგომში — „საწარმოს მუშაკებს“) შორის შეღავათიანი პირობებით გასანაწილებელი აქციების შესახებ;

ბ) უზრუნველყოს დარჩენილი აქციების გადაცემა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს, მისი შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს ან მათ მიერ უფლებამოსილი შუამავლისათვის აუქციონებზე სრულად გაყიდვის მიზნით.

გ) შემდგომი 10 დღის ვადაში უზრუნველყოს აქციების საწარმოს მუშაკთა შორის განაწილება.

დ) არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში ან ტერიტორიულ ორგანოში წარადგინოს ამ პროცესის შედეგად საწარმოს პრივატიზებული აქციების მფლობელი პირების სახელობითი სია აქციების მათთვის გადაცემული რაოდენობის მითითებით.

გადაწყვეტილება ფორმდება საწარმოს მუშაკთა საერთო კრების (კონფერენციის) ოქმით, რომელიც მიღებულ უნდა იქნეს საწარმოს მუშაკთა საერთო რიცხვიდან ხმების უბრალო უმრავლესობით. ოქმი გაეგზავნება სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ან მის ტერიტორიულ ორგანოს, რომელიც სახელობით სიას გადასცემს სააქციო საზოგადოების აღმასრულებელ ორგანოებს აღნიშნულ პირთა აქციონერთა რეესტრში შესატანად.

აქციონერის აქციონერთა რეესტრში შეტანა ხდება მის მიერ აქციის საფასურის გადახდის და შესაბამისი დოკუმენტების მიღების შემდეგ.

13. ამ დებულების შესაბამისად შექმნილი სააქციო საზოგადოებების აქციების გამოშვებაზე არ ვრცელდება მოთხოვნები, რომლებიც განსაზღვრულია „ფასიანი ქაღალდების შესახებ დროებითი დებულების დამტკიცების“ თაობაზე საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 31 აგვისტოს № 876 დადგენილებით დამტკიცებული დებულებით.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ან მისი შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს მიერ დამტკიცებული საწარმოს პრივატიზაციის გეგმა არის მისი აქციების ემისიის პროსპექტი.

14. აქციათა გაყიდვა ხორციელდება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ან ტერიტორიული ორგანოს მიერ საწარმოს პრივატიზაციის გეგმის შესაბამისად.

15. აქციების გაყიდვა რეგისტრირდება აქციონერების რეესტრში სააქციო საზოგადოების მიერ შესაბამის ცვლილებათა შეტანის გზით.

### ნაწილი II

### საწარმოთა ნებაყოფლობითი გაერთიანებების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის წესები

1. იმ საწარმოთა ხელმძღვანელები, რომლებიც არიან ნებაყოფლობითი გაერთიანების, მათ შორის კონცერნის, ასოციაციის ან საწარმოთა სხვა გაერთიანებების მონაწილეები, ვალდებული არიან 1993 წლის 25 აპრილამდე უზრუნველყონ საწარმოს ხელმძღვანელი ორგანოს მოწვევა გაერთიანების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად და ამხანაგობის ან სააქციო საზოგადოების დამფუძნებელი დოკუმენტების მომზადების სამუშაოთა ორგანიზებისათვის.

2. შესაქმნელი ამხანაგობის ან სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალის სიდიდე ფასდება ამ დებულების I ნაწილის მე-5 პუნქტით დადგენილი წესით. საწარმო-დამფუძნებლების მიერ შეტანილი წილის სიდიდე საწესდებო კაპიტალში განისაზღვრება შეფასებით მომენტამდე მთელი დროის განმავლობაში სხვადასხვა შენატანების დაგროვილი თანხის პროპორციულად. სახელმწიფო საწარმოთა ქონებრივი შენატანები, რომლებიც შეტანილ იქნა სხვა ფორმით, აგრეთვე სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მიერ გაერთიანებებისათვის გადაცემული სახელმწიფო ქონება ითვლება სახელმწიფოს შენატანად.

3. შესაქმნელი ამხანაგობების ან სააქციო საზოგადოებების საწესდებო კაპიტალში სახელმწიფოს და დამფუძნებელ სახელმწიფო საწარმოთა შენატანების სიდიდის განმსაზღვრელი დოკუმენტები წარედგინება დასამტკიცებლად საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ან მის ტერიტორიულ ორგანოებს.

სახელმწიფო მმართველობის ორგანოების, სახელმწიფო საწარმოებისა და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ან მის ტერიტორიული ორგანოების მიერ ამხანაგობებსა და სააქციო საზოგადოებებში ქონებრივი შენატანების შეტანის წესი განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მიერ.

### ნაწილი III

### პრივატიზაციის სამუშაო კომისიის შექმნისა და საქმიანობის შესახებ

1. პრივატიზაციის სამუშაო კომისია იქმნება საწარმოში (გაერთიანებაში), ქვეგანაყოფში, რომლებიც ექვემდებარება სააქციო საზოგადოებად გარდაქმნას.

2. აღნიშნული დადგენილების ძალაში შესვლის დღიდან ოცდღიან ვადაში საწარმოს (გაერთიანების) ხელმძღვანელი ამ დებულების I ნაწილის 1-ლი პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად გამოსცემს ბრძანებას კომისიის შექმნის შესახებ. კომისიის შემადგენლობაში შედის საწარმოს მუშაკთა წარმომადგენელი. საწარმოს ხელმძღვანელის ბრძანების ასლი მისი გამოცემიდან 3-დღიან ვადაში გაიგზავნება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში ან ტერიტორიულ ორგანოში.

3. თუ ასეთი საწარმოს ხელმძღვანელმა აღნიშნულ ვადაში არ შექმნა კომისია, მაშინ იგი იქმნება სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ან ტერიტორიული ორგანოს ან უშუალოდ საწარმოს მუშაკთა გადაწყვეტილებით ადმინისტრაციის წარმომადგენლის მონაწილეობით ან მონაწილეობის გარეშე. საწარმოს მუშაკთა კრების გადაწყვეტილების მიღებიდან 3-დღიან ვადაში ამონაწერი გაიგზავნება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში ან ტერიტორიულ ორგანოში.

4. საწარმოს შრომითი კოლექტივი, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება სააქციო საზოგადოებად გარდაქმნის შესახებ ამ დებულების I ნაწილის მე-2 პუნქტის საფუძველზე, დამოუკიდებლად ქმნის კომისიას ადმინისტრაციის წარმომადგენლის მონაწილეობით, ან მის გარეშე. საწარმოს მუშაკთა კრების გადაწყვეტილებიდან კომისიის შექმნის შესახებ ამონაწერი იგზავნება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში ან ტერიტორიულ ორგანოში.

5. კომისიის შემადგენლობაში შედის არანაკლებ სამი და არა უმეტეს შვიდი კაცისა.

6. პირველ სხდომაზე კომისია ირჩევს კომისიის თავმჯდომარეს. იგი ორგანიზაციას უწევს კომისიის მუშაობას და ეკისრება პერსონალური პასუხისმგებლობა მის საქმიანობაზე.

7. კომისიის სხდომა უფლებამოსილად ითვლება მასზე წევრთა საერთო რაოდენობის სულ ცოტა ორი მესამედის დასწრებით.

8. კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმა. კომისიის გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უბრალო უმრავლესობით. ხმათა თანაბარი გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტად ითვლება თავმჯდომარის ხმა. კომისიის წევრს, რომელიც არ ეთანხმება მიღებულ გადაწყვეტილებას, შეუძლია წერილობით გამოხატოს თავისი შეხედულება და წარუდგინოს თავმჯდომარეს, შემდგომში მის შესაბამის ოქმში დართვით.

9. სხდომის ოქმი და მიღებული გადაწყვეტილებები ფორმდება სამი დღის ვადაში და ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე.

10. კომისია ორგანიზაციას უწევს და ატარებს საწარმოს მუშაკთა საერთო კრებას (კონფერენციას), რომელზეც განიხილება და განიმარტება მუშაკებისათვის პრივატიზაციის სახელმწიფო პროგრამისა და ამ დებულების შესაბამისად შეღავათების მიღების წესი.

11. კომისია საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ დამტკიცებული პრივატიზაციის ტიპიური გეგმის გამოყენებით შეიმუშავებს პრივატიზაციის გეგმას და ათანხმებს მას შრომით კოლექტივთან.

12. კომისია ადგენს და ხელს აწერს ქონების შეფასების აქტს 1993 წლის 1 აპრილის მდგომარეობით, ამ დებულების I ნაწილის მე-5 პუნქტით დადგენილი წესით განსაზღვრავს სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალს; ორგანიზაციას უკეთებს აქციების გამოშვებას.

13. კომისია დაამუშავებს სააქციო საზოგადოების წესდებას აღნიშნული ტიპობრივი წესდების შესაბამისად.

14. კომისია 1993 წლის 1 ივნისამდე წარადგენს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში ან ტერიტორიულ ორგანოში შემდეგ დოკუმენტებს: პრივატიზაციის გეგმას, ქონების შეფასების აქტს, სააქციო საზოგადოების წესდებას.

15. კომისიას, თავმჯდომარის სახით უფლება აქვს დაავალოს საწარმოს ადმინისტრაციას მოამზადოს და წარუდგინოს მას სტატისტიკური და საბუღალტრო აღრიცხვის მონაცემები, დოკუმენტების მომზადებისათვის აუცილებელი სხვა ინფორმაცია.

16. კომისიას, თავმჯდომარის სახით უფლება აქვს წარმოადგინოს საწარმოს (გაერთიანების) ინტერესები სააქციო საზოგადოებად მის გარდაქმნასთან და პრივატიზაციასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე.

17. კომისიას უფლება აქვს მიიწვიოს სამუშაოდ ექსპერტები, სააუდიტო, საკონსულტაციო და სხვა ორგანიზაციები საწარმოს ანგარიშიდან სათანადო ანაზღაურებით.

18. კომისიის შექმნის მომენტიდან სააქციო საზოგადოების რეგისტრაციის მომენტამდე იმ მუშაკების და ადმინისტრაციის თანამდებობის პირთა დათხოვნა ან სხვა სამუშაოზე გადაყვანა, რომლებიც კომისიის წევრები არიან, არ ხდება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც განთავისუფლება ხდება საკუთარი სურვილით.

19. კომისიას ეკისრია პასუხისმგებლობა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში ან ტერიტორიულ ორგანოში წარსადგენი დოკუმენტების სწორი მომზადებისათვის.

20. კომისია ითვლება ლიკვიდირებულად საწარმოს პრივატიზაციის დამთავრების შემდეგ.

21. კომისია ვადაზე ადრე შეიძლება ლიკვიდირებულ იქნეს საწარმოს მუშაკთა საერთო კრების მიერ მუშაკთა საერთო რაოდენობის ხმათა სამი მეოთხედით მიღებული გადაწყვეტილებით. ამ შემთხვევაში შრომითი კოლექტივი ქმნის ახალ კომისიას ამ დებულებით გათვალისწინებული წესით.

---

**დამტკიცებულია საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 14 აპრილის № 288 დადგენილებით (დანართი № 2)**

# სააქციო საზოგადოების ტიპობრივი წესდება

**სააქციო** საზოგადოება „——“ (შემდგომში — „საზოგადოება“) დაფუძნებულია „სახელმწიფო საწარმოების, სახელმწიფო საწარმოთა გაერთიანებების სააქციო საზოგადოებებად გარდაქმნის ორგანიზაციულ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის — აპრილის № — დადგენილების შესაბამისად.

**მუხლი I. საზოგადოების დასახელება და ადგილმდებარეობა**

1. 1. საზოგადოების სრული ოფიციალური დასახელება „——“ საზოგადოების შემოკლებული დასახელება „——“.

1. 2. საზოგადოების ადგილმდებარეობა „——“

**მუხლი II. საზოგადოების იურიდიული სტატუსი**

2. 1. საზოგადოება არის იურიდიული პირი. საზოგადოება იურიდიული პირის უფლებებს და მოვალეობებს იღებს რეგისტრაციის დღიდან.

საზოგადოებას აქვს ბეჭედი მისი დასახელებით, სავაჭრო ნიშანი (სიმბოლიკა), ანგარიშსწორების და სხვა ანგარიშები (მანეთებით) საბანკო დაწესებულებებში.

2. 2. საზოგადოების დამფუძნებელია საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო ან ტერიტორიული ორგანო, რომელმაც დაამტკიცა მისი წესდება.

2. 3. საზოგადოებას თავის ვალდებულებებზე აკისრია პასუხისმგებლობა მხოლოდ თავისი ქონების ფარგლებში. აქციონერები ზარალდებიან თავიანთი შენატანის (მათი კუთვნილი აქციების პაკეტის) ფარგლებში.

საზოგადოება პასუხს არ აგებს აქციონერთა ქონებრივ ვალდებულებებზე.

**მუხლი III. საზოგადოების საქმიანობის საგანი და მიზნები**

3. 1. საზოგადოების ძირითადი მიზანია მოგების მიღება.

3. 2. სააქციო საზოგადოების საქმიანობის ძირითადი სახეებია:... (მიეთითება საქმიანობის კონკრეტული სახეები).

3. 3. საზოგადოება თავისი საქმიანობის მიზნის შესაბამისად ახორციელებს სამეურნეო საქმიანობის ნებისმიერ სახეს, გარდა საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით აკრძალული საქმიანობისა.

**მუხლი IV. საწესდებო კაპიტალი**

4. 1. საზოგადოების საწესდებო კაპიტალი შეადგენს „——“ მანეთს.

4. 2. რეგისტრაციიდან 30 დღის შემდეგ საზოგადოება უშვებს ერთნაირი ნომინალური ღირებულების „——“ ცალ ჩვეულებრივ აქციას.

აქციათა ნომინალური ღირებულება შეადგენს „——“ მანეთს.

საზოგადოება აწარმოებს აქციონერთა რეესტრს მასში შემდეგი მონაცემების აუცილებელი ჩვენებით: აქციათა ტიპი და რაოდენობა, შეძენის თარიღი, აქციონერთა დასახელება (სახელი, გვარი) და ადგილმდებარეობა (საცხოვრებელი ადგილი), აქციების შეძენის ფასი.

4. 3. აქციონერის წერილობითი განცხადების საფუძველზე მას მიეცემა ამონაწერი აქციონერთა რეესტრიდან, რომელიც დამოწმებული იქნება სააქციო საზოგადოების ბეჭდით. სააქციო საზოგადოება ვალდებულია აწარმოოს რეესტრიდან ამონაწერთა ჟურნალი. ჟურნალი უნდა იყოს დანომრილი, ზონარგაყრილი და საზოგადოების ბეჭდით დამოწმებული. ყოველ აქციონერს უფლება აქვს დარწმუნდეს, რომ ის ჩაწერილია აქციონერთა რეესტრში, ხოლო აქციონერთა რეესტრის მწარმოებელი ვალდებულია აქციონერს წარუდგინოს ჩანაწერი მისი რეესტრში შეყვანის შესახებ.

**მუხლი V. აქციონერთა უფლება-მოვალეობანი**

5. 1. ჩვეულებრივი აქციების ყოველ მფლობელს უფლება აქვს დაესწროს აქციონერთა კრებას და შეიტანოს წინადადებები განსახილველად პირადად ან უფლებამოსილი წარმომადგენლის საშუალებით, ამ წესდების შესაბამისად.

5. 2. აქციების ყოველ მფლობელს უფლება აქვს გაყიდოს თავისი აქციები სხვა აქციონერთა თანხმობის გარეშე.

5. 3. იმ პერიოდში, როდესაც სააქციო საზოგადოებაში სრულად არ არის რეალიზებული აქციები „საწარმოთა სააქციო საზოგადოებებად გარდაქმნის შესახებ“ დებულების I ნაწილის მე-12 პუნქტით განსაზღვრული წესით, საზოგადოებას უფლება არ აქვს:

— ჩვეულებრივ აქციებზე გასცეს დივიდენდები ფულადის ფორმის გარდა სხვა ფორმით;

— შეიძინოს თავის მიერ გამოშვებული აქციები.

5. 4. საზოგადოებას უფლება არ აქვს გასცეს დივიდენდები ჩვეულებრივ აქციებზე სახელმწიფოს საკუთრებაში დარჩენილ აქციებზე დივიდენდების დარიცხვამდე.

5. 5. ყოველი ჩვეულებრივი აქცია მის მფლობელს აძლევს ერთ ხმას აქციონერთა კრებაზე.

5. 6. საზოგადოების ლიკვიდაციის შემთხვევაში კრედიტორების მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდეგ დარჩენილი ქონება გამოიყენება ანგარიშსწორების საწარმოებლად შემდეგი თანმიმდევრობით:

— გაიცემა კუთვნილი წილი სააქციო საზოგადოების გარეშე ინვესტორებზე, ანუ აქციათა მფლობელ იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, რომლებიც უშუალოდ არ მონაწილეობენ საზოგადოების საწარმოო საქმიანობაში;

— სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი აქციების ოდენობის შესაბამის კუთვნილ წილს ღებულობს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო ან ტერიტორიული ორგანო;

— კუთვნილ წილს მიიღებენ შრომითი კოლექტივის წევრი აქციონერები;

— ბოლოს კუთვნილ წილს მიიღებენ სააქციო საზოგადოების გამგეობისა და დირექტორთა საბჭოს წევრები.

ქონება განაწილდება ყოველ აქციაზე თანაბრად, აქციების მფლობელთა შორის სააქციო საზოგადოების მიერ გამოშვებული აქციების საერთო რაოდენობაში მათი წილის პირდაპირპროპორციულად.

**მუხლი VI. აქციონერთა კრება**

6. 1. საზოგადოების მმართველობის უმაღლესი ორგანოა აქციონერთა კრება. წელიწადში ერთხელ საზოგადოება ატარებს აქციონერთა წლიურ შეკრებას.

წლიურის გარდა შეიძლება მოწვეულ იქნეს საგანგებო კრებები. აქციონერთა საგანგებო კრების მოწვევა ხდება გენერალური დირექტორის მიერ ნებისმიერი საკითხის განსახილველად. გენერალური დირექტორი ვალდებულია მოიწვიოს საგანგებო კრება, თუ ამას ითხოვს წერილობით დირექტორთა საბჭოს უმრავლესობა ან აქციონერთა ჯგუფი, რომლებიც ერთად ფლობენ საზოგადოების ჩვეულებრივი აქციების სულ ცოტა 10 პროცენტს. ასეთ წერილობით მოთხოვნაში უნდა იყოს ფორმულირებული აქციონერთა კრების ჩატარების მიზანი.

წერილობითი შეტყობინება კრების მოწვევის და მისი დღის წესრიგის შესახებ უნდა გაეგზავნოს ყოველ აქციონერს რეესტრში აღნიშნული მისამართით კრების ჩატარების თარიღამდე არა უგვიანეს 30 დღით ადრე შეკვეთილი წერილის მეშვეობით. კრების გადაწყვეტილებით შეტყობინება შეიძლება განხორციელდეს რომელიმე გაზეთში შესაბამისი განცხადების და დღის წესრიგის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების გზით. დღის წესრიგი არ შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების შემდეგ.

6. 2. მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, აქციონერთა კრებისთვის საჭირო კვორუმი განისაზღვრება სააქციო საზოგადოების ჩვეულებრივი აქციების სულ ცოტა 50 პროცენტის მფლობელთა პირადად ან უფლებამოსილი წარმომადგენლების დასწრებით. კვორუმის არარსებობის შემთხვევაში დაინიშნება აქციონერთა ახალი კრების თარიღი, რომელზეც გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრეთა ხმების უბრალო უმრავლესობით, კვორუმის არსებობის მიუხედავად.

6. 3. მხოლოდ აქციონერთა კრების კომპეტენციაში შედის შემდეგი საკითხები, რომლებზეც გადაწყვეტილება მიიღება კრებაზე დამსწრე ჩვეულებრივი აქციების 50 პროცენტზე მეტის მფლობელების თანხმობით, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული 6. 4. პუნქტით:

1) წესდებაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანა;
2) საწესდებო კაპიტალის შეცვლა;
3) დირექტორთა საბჭოს და გამგეობის წევრების და ადმინისტრაციის თანამდებობის პირთა უფლება-მოვალეობების განსაზღვრა;

(დასასრული მე-3 გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სააქციო საზოგადოების ტიპობრივი წესდება

### გაგრძელება

4) ბალანსის, მოგების და ზარალის ანგარიშის, დირექტორთა საბჭოს და აუდიტორის ყოველწლიურ ანგარიშგებათა დამტკიცება;

5) ჩვეულებრივ აქციაზე გასაცემი დივიდენდის დამტკიცება;

6) სარევიზიო კომისიის წევრების და გარეშე, დამოუკიდებელი აუდიტორების დანიშვნა, მათი საქმიანობის სფეროსა და ანაზღაურების განსაზღვრა;

7) მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე სააქციო საზოგადოების ფილიალების, წარმომადგენლობის, განყოფილების შექმნისა და ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილებების მიღება;

8) გარიგებების და სხვა ქმედებების დამტკიცება, რომელთაც მოსდევს საზოგადოების სახელით ისეთი ვალდებულებების აღება, რომლებიც აღემატება დირექტორთა საბჭოსათვის მიცემულ უფლებებს;

9) საზოგადოების იმ ქონების გაყიდვის, გაცვლის, სხვა განკარგვის ან იჯარით გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღება, რომელიც საზოგადოების აქციების 10 პროცენტზე მეტს შეადგენს;

10) ქვესაწარმოების შექმნისა და სხვა საწარმოებსა და გაერთიანებებში საზოგადოების მონაწილეობის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

11) საზოგადოების შერწყმის, შეერთების, სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოდ გარდაქმნის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

12) საზოგადოების ლიკვიდაციის, სალიკვიდაციო კომისიის შექმნის და მისი ანგარიშის დამტკიცების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

13) დირექტორთა საბჭოს წევრთა არჩევა, საზოგადოების გენერალური დირექტორის დანიშვნა.

საზოგადოების თანამდებობის პირთა ქმედებანი, რომლითაც ირღვევა ამ წესდების 6. 3. პუნქტი, იწვევს ამ პირთა პასუხისგებაში მიცემას.

6. 4. 6. 3. პუნქტის 1-12 ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საკითხების გადაწყვეტა საჭიროებს ჩვეულებრივი აქციების სამი მეოთხედის მფლობელთა თანხმობას, რომლებიც პირადად ან უფლებამოსილი წარმომადგენლების საშუალებით ესწრებიან კრებას, გარდა 6. 5. პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

6. 5. იმ პერიოდში, როდესაც სახელმწიფო არის საზოგადოების ჩვეულებრივი აქციების საერთო რაოდენობის 50 პროცენტის ან მეტის მფლობელი, მის წარმომადგენლობით ორგანოს განსაკუთრებული უფლება აქვს სხვა აქციონერთა თანხმობისა და კრების მოწვევის გარეშე:

— მიიღოს გადაწყვეტილება ლიკვიდაციის, აგრეთვე გაყოფისა და საწარმოდან ქვეგანაყოფების გამოყოფის შესახებ;

— დაადგინოს საზოგადოების თანამდებობის პირებთან კონტრაქტების პირობები, აგრეთვე განსაზღვროს ადმინისტრაციის თანამდებობის პირთა, დირექტორთა საბჭოს და გამგეობის წევრთა განაკვეთები და ანაზღაურება;

დაადოს ვეტო ნებისმიერ გადაწყვეტილებას საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით ან ამ წესდებით დადგენილი პასუხისმგებლობიდან ადმინისტრაციის თანამდებობის პირთა ან დირექტორთა საბჭოს წევრთა განთავისუფლების შესახებ.

ამ პერიოდში 6. 3. პუნქტის მე-13 ქვეპუნქტი არ გამოიყენება.

6. 6. 6. 5 პუნქტით გათვალისწინებული სახელმწიფოს უფლებამოსილებანი წყდება იმ მომენტიდან, როდესაც მისი კუთვნილი აქციების რაოდენობა სააქციო საზოგადოების ჩვეულებრივი აქციების საერთო რაოდენობის 50 პროცენტზე ნაკლებია.

მთელი იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც სახელმწიფო თავისი წარმომადგენლობითი ორგანოს სახით არის საზოგადოების აქციონერი, მას უფლება აქვს დაადოს ვეტო საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შეცვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღებას.

### მუხლი VII. დირექტორთა საბჭო და გამგეობა

7. 1. დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე თანამდებობის მიხედვით არის გენერალური დირექტორი.

7. 2. იმ შემთხვევაში, თუ დირექტორთა საბჭოს ან გამგეობის წევრებს აქვთ ფინანსური დაინტერესება გარიგებაში, რომლის მხარესაც წარმოადგენს ან აპირებს წარმოადგინოს საზოგადოება, აგრეთვე საზოგადოებას და აღნიშნულ პირს შორის წინააღმდეგობის სხვა შემთხვევაში, არსებულ ან მოსალოდნელ გარიგებასთან დაკავშირებით იგი ვალდებულია შეატყობინოს თავისი დაინტერესების შესახებ დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილების მიღებამდე (გარიგების დადებამდე);

გარიგებაზე თანხმობა უნდა განაცხადოს დირექტორთა საბჭოს იმ წევრთა უმრავლესობამ, რომლებსაც არ აქვთ ფინანსური დაინტერესება, ან აქციონერთა უმრავლესობამ.

დირექტორთა საბჭოს ან გამგეობის წევრს, რომელმაც აღნიშნული სახით შეატყობინა დირექტორთა საბჭოს თავისი ფინანსური დაინტერესების ან სხვა ინტერესთა წინააღმდეგობის შესახებ, უფლება არ აქვს მიიღოს მონაწილეობა ასეთ გარიგებასთან დაკავშირებულ განხილვაში ან კენჭისყრაში. დირექტორთა საბჭოს ან გამგეობის წევრი ითვლება ფინანსური დაინტერესების მქონედ, თუ ის არის შრომით-სამართლებრივ ურთიერთობებში ან აქვს მესაკუთრის ან კრედიტორის უფლებები იმ იურიდიული პირების მიმართ, რომლებიც არიან საზოგადოებისათვის საქონლის ან მომსახურების მიმწოდებლები ან საზოგადოების მიერ წარმოებული საქონლის ან მომსახურების მსხვილი მომხმარებლები ან შეუძლიათ მიიღონ მოგება საზოგადოების ქონების განკარგვიდან, ან რომელთა ქონებაც ნაწილობრივ ან მთლიანად შექმნილია საზოგადოების მიერ, აგრეთვე ის ფიზიკური პირები, რომელთა მიმართაც შეიძლება გამოყენებულ იქნეს რომელიმე აღნიშნული განსაზღვრება.

7. 3. დირექტორთა საბჭოს ან გამგეობის წევრებმა არ უნდა გამოიყენონ საზოგადოების შესაძლებლობანი ან დაუშვან მათი გამოყენება სხვა მიზნით, გარდა 7. 1. პუნქტით გათვალისწინებული მიზნებისა.

ტერმინით „საზოგადოების შესაძლებლობანი" ამ პუნქტში იგულისხმება:

— საზოგადოების კუთვნილი ყველა ქონებრივი და არაქონებრივი უფლებები;

— შესაძლებლობები სამეურნეო საქმიანობის სფეროში;

— ინფორმაცია საზოგადოების საქმიანობის და გეგმების შესახებ;

საზოგადოების ნებისმიერი უფლებები, რომლებსაც აქვთ მისთვის ფასეულობა.

7. 4. დირექტორთა საბჭოს ან გამგეობის წევრებს ამ თანამდებობებზე თავიანთი მუშაობის პერიოდში არ აქვთ ისეთი საწარმოს დაფუძნების ან ისეთ საწარმოში მონაწილეობის უფლება, რომლებიც კონკურენციას უწევენ საზოგადოებას, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ის ნებადართული იყო დირექტორთა საბჭოს დაუინტერესებელი წევრების უმრავლესობის ან საზოგადოების ჩვეულებრივი აქციების უმეტესობის მფლობელი აქციონერების მიერ.

7. 5. დირექტორთა საბჭოს ან გამგეობის წევრები ვალდებული არიან აგრეთვე შეასრულონ აქციონერთა კრების მიერ დადგენილი სხვა წესები.

7. 6. დირექტორთა საბჭოს და გამგეობას უფლება არა აქვთ პირდაპირ ან არაპირდაპირ მიიღონ ანაზღაურება დირექტორთა საბჭოს ან გამგეობის გადაწყვეტილების მიღებაზე გავლენის გამო. დირექტორთა საბჭოს და გამგეობის წევრებს აკისრიათ პასუხისმგებლობა ამ მუხლის დებულებათა დარღვევის გამო მიყენებულ ზარალზე საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7. 7. დირექტორთა საბჭოს ან გამგეობის წევრები ვალდებული არიან შეასრულონ თავისი მოვალეობანი კეთილსინდისიერად და ისეთი სახით, როგორსაც სააქციო საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, ისინი საუკეთესოდ თვლიან.

7. 8. დირექტორთა საბჭოს და გამგეობის წევრებს აკისრიათ პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე მისთვის მიყენებული ზიანის გამო, რაც გამოიწვია მათ მიერ წესდებით განსაზღვრული თავიანთი ფუნქციების შეუსრულებლობამ და უჯეროდ შესრულებამ.

7. 9. დირექტორთა საბჭოს ან გამგეობის წევრები, რომლებიც არღვევენ 7. 1. — 7.8. პუნქტებით დადგენილ მოვალეობებს, პასუხს აგებენ მიყენებული ზიანის მთლიანი მოცულობის (აქ შედის ხელიდან გაშვებული მოგებაც) სრული საბაზრო ღირებულებით ანაზღაურების სახით.

### მუხლი VIII. დირექტორთა საბჭოს სხდომა

8. 1. დირექტორთა საბჭოს შემადგენლობაში შედის: საზოგადოების გენერალური დირექტორი (ან მისი წარმომადგენელი), საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ან ტერიტორიული ორგანოს წარმომადგენელი, საწარმოს მუშაკთა წარმომადგენელი და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელი.

საზოგადოების გენერალურ დირექტორს (მის წარმომადგენელს) აქვს ორი ხმა, დირექტორთა საბჭოს ყველა დანარჩენ წევრს კი ერთი.

8.2. დირექტორთა საბჭოს სხდომები ტარდება საჭიროებისდა მიხედვით, მაგრამ არანაკლებ თვეში ერთი სხდომისა. საბჭოს ერთ-ერთი სხდომა (წლიური) ტარდება ფინანსური წლის დამთავრებიდან არაუგვიანეს 3 თვის განმავლობაში. საზოგადოების წლიური ბალანსის, მოგების დარიცხვის და აუდიტორიის ანგარიშის განსახილველად. საბჭოს თავმჯდომარე იწვევს წლიურ სხდომას და ამზადებს დღის წესრიგს. წლიურ სხდომაზე თავმჯდომარე საბჭოს წარუდგენს სრულ ფინანსურ ინფორმაციას, აგრეთვე საზოგადოების საქმეების მიმდინარე მდგომარეობის, გეგმებისა და შედეგების ანგარიშს. დირექტორთა საბჭოს რიგგარეშე სხდომები შეიძლება მოწვეულ იქნეს დირექტორთა საბჭოს ნებისმიერი ორი წევრის მიერ.

8.3. შეტყობინება დირექტორთა საბჭოს სხდომის შესახებ წერილობით ფორმაში და დირექტორთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით გაეგზავნება ყველა წევრს. შეტყობინებას თან დაერთვება დღის წესრიგთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი. სხდომაზე არ შეიძლება განხილულ იქნეს საკითხები, რომლებიც არ იყო მითითებული შეტყობინებაში. საჭიროების შემთხვევაში დირექტორთა საბჭოს ნებისმიერი სხდომა შეიძლება გადაიდოს ყველა წევრის თანხმობით.

8.4. დირექტორთა საბჭოს ყველა გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უბრალო უმრავლესობით, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით.

8.5. დღის წესრიგში შედის საკითხები, რომლებიც წამოაყენეს დირექტორთა საბჭოს წევრებმა, სარევიზიო კომისიის წევრებმა, აგრეთვე გენერალურმა დირექტორმა და აქციონერებმა, რომლებიც ერთად ფლობენ ჩვეულებრივ აქციების სულ ცოტა 5 პროცენტს.

8.6. დირექტორთა საბჭოს ოქმი იწარმოება საბჭოს მიერ დადგენილი წესით. საზოგადოების იურიდიულ მისამართზე ოქმები ხელმისაწვდომი უნდა იყოს გასაცნობად ნებისმიერი აქციონერის, დირექტორთა საბჭოს წევრისათვის ან მისი წარმომადგენლისათვის. ყველა ოქმი ხელმოწერილი უნდა იყოს თავმჯდომარის და მდივნის მიერ.

### მუხლი IX. დირექტორთა საბჭოს კომპეტენცია

9.1. დირექტორთა საბჭოს აქვს საზოგადოების საქმიანობისა და მისი შინაური საქმეების შესახებ ყველა საკითხზე გადაწყვეტილების მიღების უფლება, გარდა იმ საკითხებისა, რომლებიც შედის მხოლოდ აქციონერთა კრების კომპეტენციაში.

9.2. დირექტორთა საბჭოს უფლება არა აქვს თავისი უფლებამოსილების სხვა პირებისათვის ან ორგანოებისათვის დელეგირებისა, თუ სხვა რამ პირდაპირ არ არის გათვალისწინებული საქართველოს რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტებით და ამ წესდებით.

9.3. დირექტორთა საბჭოს აქვს შემდეგი უფლებამოსილებანი და ვალდებულებანი შესაბამის გადაწყვეტილებათა მისაღებად:

— ურჩიოს აქციონერებს საწესდებო კაპიტალის გაზრდის ან შემცირების სიდიდე, პირობები, წესი და წერილობით ფორმაში დაადასტუროს, რომ საწესდებო კაპიტალის ნაზრდი ტოლია შესაბამისი შენატანის საბაზრო ღირებულებისა;

— დაამტკიცოს გენერალური დირექტორის მიერ წარდგენილი დებულება სააქციო საზოგადოების გამგეობის შესახებ;

— მიიღოს საზოგადოების შიგნით ურთიერთობების მარეგულირებელი ნორმატიული დოკუმენტები;

— მიიღოს საბჭოს სხდომის ჩატარების წესები და რეგლამენტი;

— დაამტკიცოს ნებისმიერი ისეთი გარიგების დადება ან შეწყვეტა, სადაც ერთ მხარეს წარმოადგენს სააქციო საზოგადოება, ხოლო მეორეს — საწესდებო კაპიტალის სულ ცოტა 5 პროცენტის მფლობელი ნებისმიერი აქციონერი, დირექტორთა საბჭოს წევრი, გამგეობის წევრი ან საზოგადოების თანამდებობის პირი;

— მისცეს აქციონერებს რეკომენდაციები ფილიალების, განყოფილებების, წარმომადგენლობების ან ქვესაწარმოების შექმნასთან დაკავშირებით;

— დანიშნოს ან დაითხოვოს გამგეობის თანამდებობის პირები გენერალურ დირექტორთან შეთანხმებით;

— განსაზღვროს ყველა ანგარიშის, ანგარიშგების, განცხადების, მოგების და ზარალის გამოანგარიშების სისტემის წარდგენის წესი, ამორტიზაციასთან დაკავშირებული წესების ჩათვლით;

— განსაზღვროს პოლიტიკა და მიიღოს გადაწყვეტილებები, რომლებიც ეხება სესხების, კრედიტების, გარანტიების გაცემას და აღებას;

— მისცეს რეკომენდაციები აქციონერებისათვის გადასახდელი დივიდენდების სიდიდის შესახებ;

— მიიღოს გადაწყვეტილებები საზოგადოების მიერ ისეთი კაპიტალდაბანდებების განხორციელების შესახებ, რომლებიც არ აღემატება წინა წელს განხორციელებული კაპიტალდაბანდებების 10 პროცენტს (გარდა საზოგადოების საქმიანობის პირველი წლისა), მაგრამ არა უმეტეს საწესდებო კაპიტალის 10 პროცენტისა;

— დაამტკიცოს აქციონერთა კრების მიერ დადგენილი წესით დადებული გარიგებანი საზოგადოების აქტივებით, რომელთა სიდიდე აღემატება წინა წლის წლიური მიმოქცევის 5 პროცენტს (პირველი წლის განმავლობაში — საწესდებო კაპიტალის 5 პროცენტს).

### მუხლი X. გენერალური დირექტორი და გამგეობა

10.1. გენერალური დირექტორი ახორციელებს საზოგადოების საქმიანობის ოპერატიულ ხელმძღვანელობას, რისთვისაც მას ეძლევა ყველა უფლებამოსილება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად. გენერალური დირექტორი თავის საქმიანობას წარმართავს მოქმედ კანონმდებლობასა და წესდებასთან მკაცრ შესაბამისობაში.

10.2. გამგეობა არის საზოგადოების აღმასრულებელი ორგანო და მოქმედებს დირექტორთა საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულების საფუძველზე.

10.3. დირექტორთა საბჭოს სხდომებსა და აქციონერთა კრებებზე გამგეობის შეხედულებებს წარმოადგენს გენერალური დირექტორი.

10.4. გენერალური დირექტორი უფლებამოსილია მინდობილობის გარეშე იმოქმედოს საზოგადოების სახელით.

### მუხლი XI. საზოგადოების აღრიცხვა და ანგარიშგება

11.1. საზოგადოების ბალანსი, მოგების და ზარალის ანგარიში დგება მანეთებში.

11.2. საზოგადოების ფინანსური წელი იწყება რეგისტრაციის მომენტიდან და მთავრდება მიმდინარე წლის 31 დეკემბერს. შემდგომი ფინანსური წლები შესაბამება კალენდარულს.

11.3. ბალანსი, მოგების და ზარალის, აგრეთვე ანგარიშგებისათვის საჭირო სხვა ფინანსური დოკუმენტები დგება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11.4. საზოგადოების ადგილმდებარეობის მიხედვით იწარმოება სრული დოკუმენტაცია, მათ შორის:

—საზოგადოების დამფუძნებელი დოკუმენტები, აგრეთვე საზოგადოების შინაგანი ურთიერთობების მარეგულირებელი ნორმატიული დოკუმენტები, შემდგომი ცვლილებებითა და დამატებებით.

— საბუღალტრო აღრიცხვის ყველა დოკუმენტი, რომელიც აუცილებელია საზოგადოების საკუთარი რევიზიების, აგრეთვე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფო ორგანოების მიერ შემოწმებების ჩასატარებლად;

— აქციონერთა რეესტრი;

— დირექტორთა საბჭოს და სარევიზიო კომისიის სხდომების, აქციონერთა კრებების ოქმები;

— იმ პირთა ნუსხა, რომლებსაც აქვთ საზოგადოების წარმოდგენის რწმუნებები;

დირექტორთა საბჭოს ყველა წევრის და საზოგადოების ადმინისტრაციის თანამდებობის პირთა სია.

ეს დოკუმენტები ხელმისაწვდომი უნდა იყოს გასაცნობად აქციონერებისათვის და მათი უფლებამოსილი წარმომადგენლებისათვის სამუშაო დროს ნებისმიერ დროს. აქციონერებს და მათ წარმომადგენლებს უფლება აქვთ გადაიღონ პირები აღნიშნული დოკუმენტებიდან, გარდა იმ დოკუმენტებისა, რომლებიც შეეხება საზოგადოების კომერციულ საიდუმლოს.

### მუხლი XII. სარევიზიო კომისია

12.1. სარევიზიო კომისია შედგება სულ ცოტა სამი კაცისაგან, რომელიც არჩეულია საზოგადოების ჩვეულებრივი აქციების 50 პროცენტზე მეტის მფლობელთა მიერ. სარევიზიო კომისია გადაწყვეტილებას იღებს თავისი წევრების ხმათა უმრავლესობით. დირექტორთა საბჭოს თხოვნით სარევიზიო კომისიის წევრები შეიძლება დაესწრონ მის სხდომებს.

12.2. აქციონერთა წლიურ კრებამდე არაუგვიანეს 10 დღისა სარევიზიო კომისია წარადგენს დირექტორთა საბჭოში ანგარიშგებას წლიური შემოწმების შედეგების შესახებ, რომელიც ტარდება ამ წესდების მე-11 მუხლით დადგენილი საბუღალტრო აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების წარმოების წესებით. დაუგეგმავი რევიზიები სარევიზიო კომისიის მიერ ტარდება საზოგადოების ჩვეულებრივი აქციების სულ ცოტა 10 პროცენტის მფლობელთა წერილობითი მოთხოვნით ან დირექტორთა საბჭოს წევრების უმეტესობის მოთხოვნით. საზოგადოების მუშაკები ვალდებული არიან დროულად უზრუნველყონ სარევიზიო კომისია ყველა აუცილებელი ინფორმაციით და დოკუმენტებით.

### მუხლი XIII. საზოგადოების ლიკვიდაცია და რეორგანიზაცია

13.1. საზოგადოება შეიძლება ლიკვიდირებული ან რეორგანიზებული იქნეს შემდეგ შემთხვევებში:

— საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით;

— სასამართლოს ან საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილებით საზოგადოების გაკოტრების შემთხვევაში — საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად;

— საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს და მისი ტერიტორიული ორგანოს გადაწყვეტილებით, ამ წესდების 6.5 პუნქტის შესაბამისად.

13.2. საზოგადოების ლიკვიდაციის შემთხვევაში, გარდა სასამართლოსა ან საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილებით ლიკვიდაციის შემთხვევისა, დირექტორთა საბჭო ქმნის სალიკვიდაციო კომისიას, განსაზღვრავს ლიკვიდაციის ჩატარების ვადებს და წესს, ადგენს პრეტენზიების წამოყენების ვადას კრედიტორებისათვის, რომელიც არ შეიძლება იყოს ორ თვეზე ნაკლები და სამ თვეზე მეტი ლიკვიდაციის გამოცხადების მომენტიდან.

13.3. სალიკვიდაციო კომისია ატარებს ლიკვიდაციას, ადგენს სალიკვიდაციო ბალანსს და წარუდგენს მას დირექტორთა საბჭოს. თავისი დანიშვნის მომენტიდან სალიკვიდაციო კომისია თავის თავზე იღებს დირექტორთა საბჭოს, გამგეობის და გენერალური დირექტორის ფუნქციების შესრულებას. ამ მომენტიდან ის არის სააქციო საზოგადოების ერთადერთი უფლებამოსილი წარმომადგენელი მის საქმიანობასთან დაკავშირებულ ყველა საკითხში. თავისი შექმნის მომენტში კომისია საზოგადოების ადგილმდებარეობის მიხედვით ოფიციალურ პრესაში აქვეყნებს ცნობას საზოგადოების ლიკვიდაციის, კრედიტორების მიერ პრეტენზიების გამოცხადების წესისა და ვადების შესახებ. კომისიამ უნდა გამოაქვეყნოს პირველი ცნობა არა უგვიანეს მისი შექმნიდან ერთი კვირის შემდეგ და გაიმეოროს იგი არა უადრეს 14 და არა უგვიანეს 40 დღისა. სალიკვიდაციო კომისია ახორციელებს მუშაობას დებიტორული დავალიანების დაბრუნებისა და კრედიტორების პრეტენზიების გამოვლენასთან დაკავშირებით.

13.4. საზოგადოების ქონება გაიყიდება აუქციონზე სალიკვიდაციო კომისიის მიერ. აღებული თანხა ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შემდეგ გამოიყენება კრედიტორთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. დარჩენილი აქტივები განაწილდება აქციონერთა შორის ამ წესდებით დადგენილი წესით.

13.5. იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოების სახსრები ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შემდეგ არ არის საკმარისი კრედიტორების ყველა მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, საზოგადოების სახსრები განაწილდება კრედიტორთა შორის რიგის მიხედვით, კრედიტორთა მოთხოვნის პროპორციულად, მოქმედი კანონმდებლობით.

13.6. საზოგადოება ითვლება ლიკვიდირებულად ან რეორგანიზებულად სახელმწიფო რეგისტრაციის რეესტრიდან მისი ამოღების მომენტიდან.

13.7. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს და მისი ტერიტორიული ორგანოს გადაწყვეტილებით საზოგადოების გაყოფის შემთხვევაში სააქციო საზოგადოების აქტივების ნაწილი გადაეცემა ახლად შექმნილ სააქციო საზოგადოებებს საწესდებო კაპიტალში შენატანების სახით მისი აქციების სანაცვლოდ ან ხორციელდება სააქციო საზოგადოების რეორგანიზაციის სხვა ღონისძიებები, რომლებიც არ არის აკრძალული მოქმედი კანონმდებლობით;

13.8. ამ წესდების შესაბამისად რეორგანიზაციის გადაწყვეტილების მიღებიდან 13.7. პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებანი უნდა განხორციელდეს 30 დღის განმავლობაში.

13.9. რეორგანიზაციის და ლიკვიდაციის პირობები და წესები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ამ წესდებით, რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით.

---

### ხალხმა გამოარჩინა

# სიძნელეების მიუხედავად

### რამდენიმე შტრიხი ერთი კომბინატის კოლექტივისა და მისი თავკაცის ზოგადი პორტრეტისათვის

**ვახტანგ ხარბია.**



**თბილისიდან ხობში შემავალ სტუმარს ხელმარცხნივ, იქ, სადაც ამ რამდენიმე წლის წინათ მხოლოდ ცარიელი მინდორი და კოლმეურნეობისთვის არც ისე უცხო ნახევრად ჭაობიანი ადგილი იყო, ქართული ჩუქურთმებითა და ორნამენტებით დამშვენებული შენობები მოხვდება თვალში. ნაგებობათა მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ ხარაჩოებშია, ზოგის მშენებლობა კი, ობიექტური მიზეზების გამო, შეჩერებულია...**

**ეს კომპლექსი ხობის ჩაის კომბინატის კუთვნილებაა. უცხო თვალისთვისაც კი გარეგანი იერითაც საქმის გულშემატკივარი, ნიადაგ მეურნის მარჯვენის მადლი ატყვია, ხოლო თუ შიგნითაც შეიხედავს და საწარმოს მაჩვენებლებითაც დაინტერესდება... თუმცა ამაზე შედარებით დაწვრილებით ქვემოთ მოგითხრობთ. ამჯერად კი მხოლოდ ერთს გეტყვით დარწმუნებით: თუ ამ საოცარი ეკონომიკური ხიდუსპირობისა და ქაოსის პირობებშიც კი ვინმეზე შეიძლება ითქვას — საქმემ მისმა წარმოაჩინაო, ეს, ნამდვილად რომ, აქაურ კოლექტივსა და მის ენერგიან თავკაცზე გურამ ლატარიაზე ითქმის.**

მაგრამ მანამდე მცირეოდენი წინაისტორია: ეს კომბინატი ხელმძღვანელი ორგანოების გადაწყვეტილებით 1985 წელს შეიქმნა ერთადერთი მიზნით — როგორმე გაეუმჯობესებინა უცხოეთისთვის გამიზნული ქართული საექსპორტო ჩაის ხარისხი. მანამდე რესპუბლიკის ბევრი ფაბრიკა დამოუკიდებლად გზავნიდა უცხოეთში მუდამ არცთუ ხარისხიან ჩაის, რაც ლახავდა მის პრესტიჟს და ხშირად რეკლამაციებსაც იმსახურებდა. ამიტომაც ჩათვალეს საჭიროდ ერთ კოლექტივს ეგო პასუხი საექსპორტო პროდუქციის ხარისხზე. მას შემდეგ რეკლამაციებიც შეწყდა...

ამოქმედების პირველსავე წელს კომბინატმა 4 მილიონ 298 ათასი მანეთის სასაქონლო პროდუქცია დაამზადა, 1990 წელს ამ მაჩვენებელმა 25 მილიონს გადააჭარბა, შარშან კი 50 მილიონს.

წინსვლა მართლაც თვალსაჩინოა, მაგრამ შარშანდელი მაჩვენებლებით მაინც არ არის კმაყოფილი კომბინატის ხელმძღვანელობა — ნედლეული რომ გვქონოდა, ექსტრემალური პირობების მიუხედავად მაინც ბევრად მეტის გაკეთება შეგვეძლოო, ამბობს. ნედლეული კი საკმაოზე მეტიც დაკლებიათ — გათვალისწინებული 4500-ის ნაცვლად მხოლოდ 650 ტონა მიუღიათ.

— კი, მაგრამ, თუ ამდენი ნედლეული დააკლდათ, როგორღა შეძლეს ასეთი მაჩვენებლების მიღწევა, შეიძლება დაიბადოს კითხვა მავანს. უწინარესად იმით, რომ კომბინატელები მოვლენათა პასიური მჭვრეტელების როლში კი არ გამოსულან, არამედ იმთავითვე აუღიათ ალღო ვითარებას და მომზადებულნიც შეხვდნენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე ცვლილებებს. ისინი ჯერ კიდევ ამ ოთხი წლის წინათ გადავიდნენ თვითდაფინანსებისა და თვითანაზღაურების პრინციპით მუშაობაზე, იზრუნეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა და სასიკეთო სიახლეთა წამოწყება-დანერგვისათვის. აქ წინსვლის ყველა რეზერვს მაქსიმალურად იყენებენ და პრაქტიკულად უნარჩენო ტექნოლოგიითაც მუშაობენ, რადგან კომბინატში ახლა წარმოებს ნედლეულის როგორც პირველადი გადამუშავება, ისე ავტომატური დაფასოება, სეპარაცია, გრანულირება და წვრილი ჩაის დაკალიბრება ცილინდრულ დამხარისხებელ-დამკალიბრებელ მანქანაში. წარმატებას ხელი შეუწყო იმანაც, რომ შარშანდელი ოქტომბრიდან ჩაიზე დაწესდა თავისუფალი სარეალიზაციო ფასები, რომელთა შესაბამისად გაიყიდა 109 მილიონი მანეთის პროდუქცია და რეალიზაციით მიღებულმა მოგებამ 43.710 ათასი მანეთი შეადგინა.

მაგრამ წარმატებათა მთავარი განმსაზღვრელი მაინც, ცხადია, აქაური მშრომელები და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის წარმომადგენლები არიან.

კომბინატის ხელმძღვანელობა საწარმოო დავალებათა შესრულების პარალელურად ღირსეულად ზრუნავს კიდეც მათი სოციალური პირობების გაუმჯობესებისათვის. ჩაის ბარტერული გაცვლის გზით შემოტანილი კვების სხვადასხვა პროდუქტი ხელმისაწვდომ ფასებში მიეყიდა აქაურ მუშა-მოსამსახურეებს და რაიონის მშრომელებსაც უწილადეს. ასევე ბარტერული გაცვლის გზით შემოიტანეს აუცილებელი დამხმარე მასალები და მარაგნაწილები, ჩაის ქაღალდით, გოფრირებული ტარა, წებო და სხვა, ინგლისის ფირმა „ისპაჰანისაგან" მიიღეს ერთჯერადი განწონვის დამფასოებელი მანქანა. მნიშვნელოვნად გაიზარდა შრომის ანაზღაურებაც: თუ შარშანდელი წლის დასაწყისისათვის მუშის საშუალო ხელფასი იყო 859 მანეთი, ამჟამად 7500 მანეთია.

შარშან კომბინატმა სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხა 33 მილიონ 63 ათასი მანეთი, ეროვნული თავდაცვის ფონდში — 2 მილიონი, ლტოლვილთა დახმარების ფონდში კი — 25 ათასი მანეთი. კომბინატში მომუშავეთა ოჯახში მყოფ ლტოლვილებს მიეცათ 69 ათასი მანეთი, დახმარება. ამასთან თითოეულ ლტოლვილს დამატებით საჩუქრად მიეცა 1500 მანეთი.

— როგორია კომბინატის პერსპექტივები და რა პრობლემების გადაჭრა მიგაჩნიათ პირველ რიგში აუცილებლად? — ვკითხე ბატონ გურამს.

— თქვენის ნებართვით, ჯერ პრობლემებით დავიწყებ. უმთავრესად და ყველასთვის ერთნაირად სასურველ-სანატრელი, რა თქმა უნდა, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების სტაბილიზაციაა. სხვა მხრივ კი ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და გადაუდებელ საკითხად მიმაჩნია პრივატიზაციის დაჩქარება და ხარისხიანად ჩატარება. უნდა ჩამოყალიბდეს თუნდაც სააქციო საზოგადოებები, რაც ხელს შეუწყობს კერძო მესაკუთრის დაინტერესებას და მისი ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას, აღმოფხვრის წარმოებაში მუშათა დენადობას.

ქართული ჩაის პრესტიჟის აღდგენისთვის საჭიროა პლანტაციისა და ფაბრიკის უფრო მჭიდრო კავშირი.

უნდა დაჩქარდეს კანონის მიღება მშრომელი ადამიანის სოციალური დაცვის შესახებ. უნდა აღდგეს დღის მეტად დეფიციტური ნდობის ფაქტორი...

რაც შეეხება პერსპექტივებს, ისინი ძალიან კარგია. ბევრი სასიკეთო საქმე წამოწყებულიც გვქონდა და, ამჟამად საქართველოში არსებული უაღრესად ექსტრემალური სიტუაცია რომ არა, უკვე პირველი სასიკეთო კონკრეტული შედეგებიც გვექნებოდა.

მაგალითად, მოლაპარაკება გვქონდა „პეპსი-კოლას" ფირმასთან 3 ათასი ტონა ნედლეულის მიყიდვაზე. ფირმის დელეგაცია ჩამოვიდა კიდეც, მაგრამ შარშანდელი 24 ივნისის ამბებმა ეს მრავალმხრივ სასარგებლო კონტაქტები ჩაშალა. ერთ-ერთი იტალიური ფირმა, რომლის პრეზიდენტია ჟან ფრანკო ბონომი, შემოიტანდა „სიტისის" მარკის ჩაის გადამამუშავებელ ტექნოლოგიურ ხაზებს, ჩაის დამფასოებელ მანქანებსა და შესაფუთ ტარა-მასალებს, თავის წილს შეიტანდა მეღორეობის დამხმარე მეურნეობის შექმნაში. თვითონვე შემოჰყავდა ჯიშიანი ღორები და შემოჰქონდა საკვები, სამაცივრო დანადგარები. ჩვენი იქნებოდა მხოლოდ მუშახელი, ნაგებობები და ენერგორესურსები. ეს ფირმა ჩვენს ჩაის გაცვლიდა სხვადასხვა კვების პროდუქტზე, რომლებიც რაიონს და რესპუბლიკას მოხმარდება. მოგების 51 პროცენტი მათი იქნებოდა, 49 — ჩვენი... მოლაპარაკება გვქონდა გერმანულ ფირმა „ბურდას" წარმომადგენლებთანაც, მაგრამ...

დიახ, ბევრი რამ სასარგებლო კეთდება ხობის ჩაის კომბინატში და, შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, ყოველივე ამის ინიციატორი და განმახორციელებელი უშუალოდ წარმოების თავკაცი გურამ ლატარია გახლავთ.

რესპუბლიკური მასშტაბის საქმეებშიც აქტიურად მონაწილეობს კომბინატი: საქართველო რომ შარშან ჩაის მსოფლიო ასოციაციის წევრი გახდა, საწევრო შესატანი — 8 ათასი დოლარი — მან გადაიხადა. წლიურსაც ამდენივეს იხდის. ასოციაციის წევრობა კი განუზომლად დიდ დახმარებას გაუწევს საქართველოს მეჩაიეობას.

აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს გურამ ლატარიას ერთი მეტად დამახასიათებელი დადებითი თვისება: მიუხედავად თავმდაბლობისა, საჭიროების შემთხვევაში მეტად პრინციპული და შეუპოვარია. კარგად იციან ხობელებმა, რომ კომბინატსაც და მის ოჯახსაც არაერთხელ დაესხნენ შეიარაღებული ბოროტმოქმედები. 2 მილიონ მანეთზე მეტი პროდუქცია გაიტაცეს არაკაცებმა და სამი სატვირთო მანქანა „გაიყოლეს ხელს". ემუქრებოდნენ, შანტაჟს უწყობდნენ, მაგრამ ვერ შეაშინეს, უკან არ დაუხევია, რადგან სჯეროდა სიმართლისა, რადგან ასე მიაჩნდა საჭიროდ საქართველოს საკეთილდღეოდ.

გურამის კაცურ კაცობაზე ერთი ფაქტიც მეტყველებს: როდესაც კომბინატის მუშა მძიმედ დაავადდა, დეფიციტური წამლის საშოვნელად რამდენიმე ქალაქი შემოიარა საკუთარი მანქანით და თავად მიუტანა პრეპარატი ავადმყოფს.

დღეს, ასეთ გაწამებულ ვითარებაში, როცა ადამიანური ღიმილიც სანატრელი გახდა, მუშა კაცის ასეთი თანადგომა და მისი ჭირის გაზიარება იმედით აავსებს სხვებსაც. ამიტომაც უდგანან მხარში.

ამიტომაც არის, რომ სიძნელეთა მიუხედავად წარმატებებს აღწევს კომბინატი.

---



## ყველა ჩვენგანის ტკივილით სავსე წიგნი

**გამომცემლობა** „ლეგიამ" გამოსცა **ვახტანგ გოგუაძის** წერილების კრებული, **„მე არც წარსულის, არც მომავლის არ მეშინია"**, რომელშიც, როგორც ავტორი წერს, „თითქმის ოცდაათი წლის ნააზრევ-ნაჯახირევია" თავმოყრილი.

წიგნში დაბეჭდილი ესეები, ნარკვევები, დაკვირვებანი, ჩანახატები უთუოდ დააინტერესებს მკითხველს.

ჩვენ მეტი შეფასებისაგან თავს ვიკავებთ და ქვემოთ გთავაზობთ წიგნში შესულ ერთ მასალას — **„ოლღა გურამიშვილის მადლით"** — რომელსაც, ვფიქრობთ, აუღელვებლად ვერ წაიკითხავს ვერავინ.

# ოლღა გურამიშვილის მადლით

### მიმართვა აფხაზ და ქართველ ხალხს

**ყველა ქართველისათვის ცნობილია ოლღა გურამიშვილის მიმტევებლობის უნიკალური ფაქტი. ჩვენი ხალხის მოსედ წოდებულის, ილია ჭავჭავაძის მეუღლემ ილიას მკვლელთა სიკვდილის დასჯისაგან შეწყალება მოითხოვა. ეს მხოლოდ დიდ ადამიანებს შეუძლიათ. ეს გენეტიკური ფესვი არ კვდება ჩვენს ხალხში. ასეთი დიდი ადამიანების გამოვლინებაა ვოვა ვეკუას ქვრივის, ქალბატონ ეთერი კოპალიანი-ვეკუას მიმართვა აფხაზი და ქართველი ხალხისადმი, რომელიც გაზეთ „ივერიაში" (№ 28) გამოქვეყნდა. ეს გმირის გმირ მეუღლეს შეეძლო. ცოლი სარკეაო ქმრისა — ასეთ შემთხვევებზე უნდა ითქვას. ეს მიმართვა მთლიანად მინდა მოვიტანო, ასეთ მცირეტირაჟიან გაზეთში კი არა, როგორიც „ივერიაა", ეს ტექსტი ხშირად უნდა იბეჭდებოდეს მასობრივი ტირაჟით.**

„მოგმართავთ თხოვნით, ნუ დავივიწყებთ წარსულს, ჩვენს სიყვარულს, ისტორიას, მრავალსაუკუნოვან მეგობრობას, ჩვენ ღვიძლ ძმებად ვიწოდებოდით და ვიყავით კიდევაც. დღეს ნუ დავარღვევთ ამ ძმობას. ნუ მივყვებით ეშმაკს სულს, ერთმანეთის გვერდიგვერდ ვიბრძოდით და ვიცავდით დედა საქართველოს. ბევრს ერთად ვჭმეოდით, ძმად ვეფიცებოდით, ძუძუმტეობდით და ერთად ვლოცულობდით, ახლა კი რა ღმერთი გაგვიწყრა, რა ბოროტმა ძალამ დაგვერთგუნა და დაგვიმონა?! ღმერთო მაღალო, შენ გაუნათე გზა ხსნისა გონებაარეულთ, გზა — მოყვასის მოყვასთან მობრუნებისა, რამეთუ ქადაგებ — „გიყვარდეთ მტერნი თქვენი...".

მოგმართავთ ვედრებით, მე, ქვრივი, ძმების მიერ განწირული ქართველისა. ვოვა ვეკუასათვის ძვირფასი იყო ძმობისა და მეგობრობის ისტორია. მე გთხოვთ, უკუვაგდოთ და ვებრძოლოთ იმ ბოროტ ძალას, რომელიც აგრერიგად დგას ჩვენს შორის და რომელმაც ერთმანეთის მტრებად გვაქცია. ამ ბოროტმა ძალამ დაანგრია და ფეხქვეშ გათელა ჩვენი წმინდა წარსული. ჩვენი ისტორია და მისივე სურვილია საქართველო აღიგავოს პირისაგან მიწისა.

„უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ ვართ ერთი მამის ღვთის შვილები, ვისაც კეთილი სამსახური სურს, იგი სრულიად უნდა გამიჯნოს ბოროტს". წერდა ვოვა, მოვუხმოთ გონიერებას, განვდევნოთ ბოროტი და ჩავდგეთ კეთილის სამსახურში. შევევედროთ ღმერთს, რათა შეგვინდოს ძმების მიერ დაღვრილი სისხლი.

„ყოვლად წმინდაო სამებაო, შეგვიწყალე ჩვენ, უფალო გვიხსენ და გვილხინე ცოდვათა ჩვენთაგან მეუფეო, შეგვინდე უსჯულოებანი ჩვენი...

უფალო შეგვიწყალენ".

**ეთერი კოპალიანი-ვეკუა.**

18. 09. 89.

**ასეთ კეთილშობილურსა და ქვეყანურს მე ვერას ვიტყვი და არც შევეცდები ჩემი კომენტარებით შევაწყინოთ თავი. უბრალოდ, არ შემიძლია ჩემი მოწიწება, თავდადრეკა მოუბლმოყვრით არ გამოვხატო ამ დიდი ხათინოებისადმი, იგი მადლსა ჰფენს აფხაზი და ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან გავლილსა და გასავლელ გზას.**

**ვახტანგ გოგუაძე,**
პროფესორი.
12 ივლისი, 1990 წ.

## გრიშაშვილობა-93

**„ბაბაჩემს გრიგოლ დათიას ძე მამულაშვილს თბილისის ძველ უბანში ხარფუხში საკუთარი ორი ოთახისაგან შემდგარი ბანიანი სახლი ჰქონდა (ალგეთის შეს. №1), ხოლო 200 მეტრის დაშორებით, ხუციშვილის ქუჩაზე სირაჯხანა. ძველად კალატოზი ყოფილა, შემდეგ დაუნებებია ამ ხელობისათვის თავი და სირაჯობა აურჩევია. უბანში „ცაცია გრიშას" უწოდებდნენ. მარცხენა ხელს ხმარობდა, კარგ მოკრივედაც ითვლებოდა. უბანში მას თვლიდნენ პატიოსან, ალალ-მართალ, მშრომელ და ძალზე კეთილ კაცად. სამიკიტნოში კერძებსაც თვითონ აკეთებდა და მრავალ გაჭირვებულს უფასოთ ჰკვებავდა.**

## ლექსი და სიყვარული რჩება

პაპა გრიშას პირველად მეუღლედ ჰყავდა დიღმელი ქალი მარიამ ხოლოაშვილი, იგი პირველსავე მშობიარობას გადაჰყვა, დარჩა ახალშობილი გოგონა ბარბარე მამულაშვილი — ჩემი დედა. პაპა გრიშამ დიდის ვაივაგლახით დების და ძმის დახმარებით ერთი წლის ასაკამდე გაზარდა ქალიშვილი, შემდეგ იძულებული გახდა ხელახლად ეფიქრა ოჯახის შექმნაზე. მართლაც მეორედ შეუღლდა. ცოლად ისევ დიღმელი ქალი შეირთო, მაგრამ არც ამჯამად გაუღიმა ბედმა პაპას, ეს მეუღლეც მალე გარდაიცვალა და ხელახლად დაქვრივდა. ბიძაჩემს, სოსო გრიშაშვილს ლექსიც აქვს დაწერილი მამაზე:

**იწოდებოდი „ცაცია გრიშად"**
**გიყვარდა მხოლოდ: ქალი და კრივი**
**და თუმც ცოლები გყავდა დაგრიშად,**
**მაგრამ ყოველთვის იყავი ქვრივი...**

პაპა გრიშა დებისა და მეზობლების დახმარებით 8 წლის ასაკამდე უვლიდა დედაჩემს. ძალიანაც ჰყვარებია უდედოდ დარჩენილი ქალიშვილი. ცოლს აღარ ირთავდა, შვილს დამიჩაგრავსო, ამბობდა, მაგრამ ახლობლების რჩევა-მუდარის შემდეგ იძულებული გახდა ხელახლად მოჰკიდებოდა ოჯახს და აი მესამედ შეირთო თბილისელი ქალი — სოლოლაკის უბნელი ელისაბედ ოგანეზოვა, რომელსაც მალე ოთხი შვილი ეყოლა — 3 ვაჟი და ერთი ქალი. 2 ვაჟიშვილი ბავშვობიდანვე გარდაცვლილან. ქალიშვილს ელენეს 20 წლის ასაკამდე უცოცხლია. სოსოს ლექსიც აქვს დაწერილი მის გარდაცვალებაზე 1913 წელს.

**... სიკვდილმა შორს, შორს წარიტაცა**
**დიდის გრძნობა, ძმის სიხარული...**
**- ეჰ, დაო! დაო! თვით სიკვდილსაც**
**სცოდნია ტრფობა და სიყვარული.**

პაპა გრიშას დარჩა პირველ მეუღლისაგან ქალიშვილი ბარბარე, ხოლო მესამე მეუღლისაგან ვაჟიშვილი სოსო მამულაშვილები. უზომოდ უყვარდათ ორივე შვილს მოამაგე, კეთილი მშრომელი და პატიოსანი მამა — გრიშა და აკი ბიძაჩემმა სოსომ, მამის სახელის უკვდავსაყოფად ფსევდონიმად გრიშაშვილი დაირქვა.

... 1904 წელს გარდაიცვალა პაპა გრიშა. მას დარჩა 16 წლის დაობლებული სოსო... უმამოდ დარჩენილმა სოსომ სწავლა ვერ შესძლო და მესამე განყოფილებიდან თავი დაანება სათავადაზნაურო გიმნაზიას. ქვრივად დარჩენილ დედამისს გაუჭირდა ცხოვრება. 16 წლის სოსო მელიქბახტამიანის მაღაზიაში მოაწყო პუშკინის ქუჩაზე რძისა და კარაქის გამყიდველად. სოსო თურმე მთელი დღე იჯდა დახლის ქვეშ და წიგნებს კითხულობდა. ეს ბიჭი შეგირდად არ გამომადგებაო, იფიქრა ბახტამიანმა და სოსო დაითხოვა მაღაზიიდან. დაქვრივებულმა დედამისმა გათხოვება ირჩია. სოსომ მამინაცვალთან გადასვლა არ ისურვა და მარტოდმარტო ბედის ანაბარად დარჩა მამისეულ სახლში ხარფუხში, სადაც ამჟამად მისი ბიბლიოთეკა-მუზეუმია.

ეს არის ნაწყვეტი პოეტის დისწულის ანი ლაზარიდი-ციციშვილის საინტერესო და ვრცელი მოგონებიდან „როგორ შექმნა იოსებ გრიშაშვილმა თავისი ბიბლიოთეკა", რომელიც მას წლევანდელ გრიშაშვილობაზე უნდა წაეკითხა, მაგრამ...

**„მე შენ სახელად ანი დაგარქვი ჩვენი ანბანის პირველი ასო"...**

სწორედ მას თავის უსაყვარლეს დისწულს და შემდგომ მისი საქმიანობის თანაზიარს უძღვნა ეს სტრიქონები მგოსანმა 1925 წელს. ქალბატონი ანი იყო თავი და თავი ალგეთის ქუჩაზე, მამა-პაპეულ სახლში გაზაფხულობით პოეტის დაბადების დღეს 23 აპრილს დაფუძნებული გრიშაშვილობისა, რომელსაც მისი ჯავარიანობა სითბოს და ლაზათს მატებდა. მას მხარს უმამდა ერთგული მეუღლე, ბატონი ნიკო ციციშვილი. ახლაც ის ტრიალებდა, ის ზრუნავდა, რათა ძველებური ელფერი არ მოკლებოდა ლიტერატურულ საღამოს.

რა სიახლეა წელს? რა შეემატა პოეტის საგანძურს?

გამომცემლობა „ნობათმა" გამოსცა იოსებ გრიშაშვილის „დაუბეჭდავი ლექსები", რომელიც შეადგინა ბიბლიოთეკა-მუზეუმის დირექტორმა ნოდარ გრიგორაშვილმა, რედაქტორია ზურაბ კალანდაძე, წინასიტყვაობაში შემდგენელი გვამცნობს, რომ ეს მხოლოდ ნაწილია იმ დიდი ლიტერატურული მემკვიდრეობისა, რომელიც სრულიად უცნობია საზოგადოებისათვის და აღნიშნავს, რომ საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებშივე ი. გრიშაშვილის შემოქმედებას განიხილავდნენ როგორც საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ მიმართულს და ილაშქრებდნენ მის წინააღმდეგ. განსაკუთრებით აკრიტიკებდნენ პოეტს 1920-იანი წლების მიწურულსა და 30-იანის დასაწყისის ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე. სწორედ ამ დროს დაწერილი სტრიქონებია შეტანილი ახალ კრებულში, რომელიც იხსენება ლექსით „საქართველოს მტრებს" (1919 წ.). აქვეა ძალზე მახვილი და პირუთვნელი ლექსი „ახალ ხელისუფლებას", რომელიც მეხივით გავარდა ახლად გასაბჭოებულ საქართველოს ცაზე და დარჩა მხოლოდ პოეტის არქივში და თანამედროვეთა მეხსიერებაში. ნოსტალგიური სურნელი დაჰკრავს ლექსს „40 წელი დღეს შემისრულდა", რომელშიც იგონებს წარსულს, „დროების" რედაქციას...

...დღიდან დაარსებისა, გრიშაშვილობის თავკაცი პროფესორი სოლომონ ხუციშვილია. ჩვეული ენამჭევრობითა და სიყვარულით წარმართავს ხოლმე იგი საღამოებს, რომლებზეც ერთმანეთზე უფრო საინტერესო მოხსენებებით გამოსულა. წელს მან ისაუბრა პოეტის დისწულზე — ანი ციციშვილზე, ურომლისობაც ყველა დამსწრეს აკლდა თვალსა და გულში.

„ანი და მისი ბიძა" — ასეთი იყო ქალბატონ ქეთევან ქუჩუკაშვილის უაღრესად გულთბილი მოგონება: იოსებ გრიშაშვილის ბიბლიოთეკის კატალოგებს შეეხო ნოდარ გურგენიძე, პოეტმა და მთარგმნელმა გივი შაჰნაზარმა კი წაიკითხა მოხსენება „ჰოვანეს თუმანიანი და იოსებ გრიშაშვილი". მცირე მოგონებით გამოვიდა ბატონი ნიკო ციციშვილი, მან ისაუბრა ანისა და მისდამი მიძღვნილი წიგნების წარწერებზე. ივანე მაჩაბლის ირგვლივ პოეტის არქივში დაცული უცნობი მასალები გააცნო დამსწრეთ ნოდარ გრიგორაშვილმა. მოგონებებით გამოვიდნენ ტიტე ჩიჩუა — ექიმი, ანის კოლეგა, საფო მგელაძე, იყო საუბარი იოსებ გრიშაშვილის თეატრალურ სამყაროზეც (მომხსენებელი ამ სტრიქონების ავტორი).

როგორც ვთქვით, ჯერ კიდევ ბევრი რამაა ხელუხლებელი პოეტის არქივში. ერთი საქაღალდის ისტორია ასეთია: 1960 წლის გაზაფხულზე პოეტი ქუთაისში მიიწვიეს (1959 წლის 23 აპრილს მისი 70 წლისთავის იუბილე აღინიშნა ფართოდ). ქუთათურების სიყვარულიანობაზე იგი დაწერას რომ აპირებდა, მოწმობს მასალების შეკვრა წარწერით: „ზღაპრული შეხვედრები ქუთაისში" და რაკი ველარ განეხორციელებია სანუკვარი სურვილი, ამ ზეიმის მონაწილეებს ქალბატონ ანის და ბატონ ნიკოს უცდიათ აღედგინათ ქუთაისში და გელათში განცდილ მღელვარე დღეთა სურათი: მატარებლიდან ბავშვივით ხელში აყვანილი რომ მიუყვანიათ პოეტი მანქანამდე, როგორ აუვსიათ იგი ყვავილებით, ლექსით და სიყვარულით, შეხვედრაზე რომ გაუხსენებია ქუთაისში პირველი მიწვევა 1910 წელს ვაჟა-ფშაველასთან ერთად ილია ჭავჭავაძის ხსოვნის საღამოზე, რომელსაც თურმე ოლივერ უორდროპიც ესწრებოდა...

„მგზავრულით" გამოუცილებიათ ქუთათურებს საყვარელი ადამიანი:

— ეს ზღაპარია, ნამდვილი ზღაპარი, — ამბობდა თურმე გამოთხოვებისას თვალცრემლიანი პოეტი, მე ასეთი არაფერი მინახავსო...

ეს იყო მისი უკანასკნელი ზეიმი და უკანასკნელი ზღაპარი...

... წუთისოფელი ასეა, კაცი მიდის, ნალვაწი და ხსოვნა კი რჩება... პოეტმაც დაგვიტოვა ლექსი და სიყვარული...

**ნანა ლვინეფაძე.**

• • •

**სურათებზე: პროფესორი სოლომონ ხუციშვილი ოცდამეცხრედ ხსნის გრიშაშვილობას; გრიშაშვილობის სტუმრები.**

**თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.**

## გენოციდის მსხვერპლთა ხსოვნის გამო

**24 აპრილს** დილიდანვე აგუგუნდა თბილისის სომხური ეკლესიების წმინდა გეორგისა და მცირე ეჩმიაძინის ზარები. ეკლესიებში მიმდინარეობდა სამგლოვიარო წირვა 1915 წელს სომეხი ხალხის ჟლეტისა და დარბევის მსხვერპლთა გამო. ეს დღე შევიდა მის ისტორიაში როგორც გენოციდის დღე.

1915 წლის გენოციდის მსხვერპლთა, დღეს აფხაზეთში უდროოდ და უდანაშაულოდ დაღუპულთა გამო პანაშვიდის შემდეგ სამგლოვიარო ცერემონიამ გადაინაცვლა თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის სომხურ დრამატულ თეატრში.

კრების შემდეგ აჩვენეს პერჩ ზეიტუნციანის სპექტაკლი „სოგომონ ტელეირიანი", რომელიც 1915 წლის ტრაგიკულ ამბებს ეძღვნება.

სამგლოვიარო მიტინგები და კრებები გაიმართა 24 აპრილს ახალციხეში, ახალქალაქში, ნინოწმინდასა და წალკაში.

### 1993 წლის 26 აპრილიდან დადგენილია უცხოური ვალუტების შემდეგი კურსი რუსეთის ფედერაციის მანეთის მიმართ:

| | |
|---|---|
| 1 ავსტრალიური დოლარი | 566 მან. 91 კაპ. |
| 1 ავსტრიული შილინგი | 70 მან. 89 კაპ. |
| 1 ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 1224 მან. 30 კაპ. |
| 10 ბელგიური ფრანკი | 242 მან. 23 კაპ. |
| 1 გერმანული მარკა | 498 მან. 59 კაპ. |
| 1 ჰოლანდიური გულდენი | 443 მან. 89 კაპ. |
| 100 იტალიური ლირა | 52 მან. 24 კაპ. |
| 1 კანადური დოლარი | 630 მან. 90 კაპ. |
| 1 ნორვეგიული კრონა | 717 მან. 66 კაპ. |
| 1 ამერიკული დოლარი | 795 მან. 00 კაპ. |
| 1 ფინური მარკა | 143 მან. 83 კაპ. |
| 1 ფრანგული ფრანკი | 147 მან. 54 კაპ. |
| 1 შვედური კრონა | 107 მან. 76 კაპ. |
| 1 შვეიცარული ფრანკი | 547 მან. 90 კაპ. |
| 10 იაპონური იენი | 72 მან. 24 კაპ. |
| 1 ეკიუ | 971 მან. 25 კაპ. |
| 10 ესპანური პესეტა | 68 მან. 74 კაპ. |
| 10 ბერძნული დრაჰმა | 36 მან. 62 კაპ. |
| 1 ირლანდიური გირვანქა | 1210 მან. 39 კაპ. |
| 1 ისლანდიური კრონა | 12 მან. 60 კაპ. |
| 1 ქუვეითური დინარი | 2848 მან. 15 კაპ. |
| 10 ლიბანური გირვანქა | 4 მან. 57 კაპ. |
| 1 სინგაპურული დოლარი | 490 მან. 89 კაპ. |
| 10 თურქული ლირა | 0 მან. 83 კაპ. |
| 1 ამერიკული დოლარი ინდოეთთან ანგარიშსწორების მიხედვით | 795 მან. 00 კაპ. |
| 1 ესტონური კრონა | 62 მან. 32 კაპ. |
| 10 უკრაინული კარბოვანეცი | 2 მან. 00 კაპ. |
| 1 ლატვიური რუბლისი | 5 მან. 67 კაპ. |

**საერთაშორისო ოპერაციების სამმართველო.**

მეგობრები. ზურაბ დათუაშვილის ფოტო.

## შეცდომის ფასი

**ბათუმში** გაიმართა ფეხბურთელთა ეროვნული თასის გათამაშების პირველი ნახევარფინალური შეხვედრა „ბათუმსა" და ზესტაფონის „მარგვეთს" შორის, რომელიც მინიმალური ანგარიშით — 1:0 მოიგეს მასპინძლებმა. გამარჯვების გოლი ზესტაფონელთა მეკარის — აბუსერიძის მიერ ამ მატჩში დაშვებული ერთადერთი შეცდომის შედეგად მესამე წუთზე გაიტანა კანტიძემ.

მეტოქეთა საპასუხო შეხვედრა ზესტაფონში მოეწყობა 10 მაისს.

მეორე ნახევარფინალური წყვილი — თბილისის „დინამო" და ქუთაისის „ტორპედო" — ითამაშებენ 6 და 14 მაისს.

## „ფორმულა-1-ის" ტრასებზე

**პროფესიონალ** ავტომრბოლელთა მსოფლიო ჩემპიონატის მორიგი ეტაპი — „სან-მარინოს დიდი პრიზი" მოიგო ლეგენდარულმა ფრანგმა ალენ პროსტმა და საერთო ჩათვლაში სხვაობა ლიდერთან — ბრაზილიელ „ჯადოქართან" აირტონ სენასთან 2 ქულამდე დაიყვანა.

საინტერესოა, რომ „იმოლას" ავტოდრომის ტრასამ კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი ვერაგობა — სტარტზე გამოსული გამარჯვების 25 მაძიებლიდან ფინიშამდე მხოლოდ ცხრამ მიაღწია, მეორე შედეგი აჩვენა გერმანელმა მიხაელ შუმახერმა, ხოლო მესამე — ინგლისელმა მარტინ ბრანდლმა.

გათამაშების მეხუთე ეტაპი 2 კვირის შემდეგ ესპანეთში, ხერესის ავტოდრომზე მოეწყობა.

## „ვითა" თუ „მერანი"

**დღეს** 17 საათზე დედაქალაქის სპორტის სასახლეში შედგება კალათბურთელ ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის პირველი სუპერფინალური მატჩი წინასწარი ეტაპის საუკეთესო გუნდებს — „ვითათასა" და „მერანს" შორის.

შეგახსენებთ, რომ განვლილ ტურებში მათი 4 ორთაბრძოლიდან 3 „ვითას" სასარგებლოდ დასრულდა, თუმცა ამჯერად ამ გარემოებას მხოლოდ სტატისტიკის მოყვარულთათვის თუ აქვს არსებითი მნიშვნელობა — ჩემპიონის ოქროს მედლებისათვის დავა ორ მოგებამდე თავიდან იწყება.

ხვალ (და საჭიროების შემთხვევაში — 30 აპრილს) მოწინააღმდეგენი კვლავ გამოვლენ ერთმანეთის პირისპირ სპორტის სასახლის სარბიელზე.

## ნაცნობი სახელები

**სულხან-საბა** ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სპორტულ დარბაზში რექტორის — ბატონ ვახტანგ სართანიას ძალისხმევით გაიმართა საქართველოს უნივერსიადის პროგრამით გათვალისწინებული მკლავჭიდელთა ასპარეზობა, რომელმაც ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა აშკარა უპირატესობით ჩაიარა.

რესპუბლიკის 11 უმაღლესი სასწავლებლის 130 ათლეტის პაექრობა 5 წონით კატეგორიაში მიმდინარეობდა და ხუთივეში უძლიერესნი უნივერსიტეტელები აღმოჩნდნენ.

უნივერსიადის ჩემპიონები გახდნენ გია გვიჩიანი, მამუკა სალამაშვილი, ჯიმი მერაბიშვილი, ერეკლე გურჩიანი და კობა თოდაძე.

## „დიდი" კახი

**კიდევ** ერთხელ ასახელა სამშობლო გამოჩენილმა ქართველმა ძალოსანმა კახი კახიაშვილმა (მწვრთნელი — ვანო გრიქუროვი).

სპორტის ამ ვაჟკაცურ სახეობაში არსებული ყველა უმაღლესი ჯილდოს მფლობელმა ამჯერად სოფიის ფიცარნაგზე **დაიმსახურა ევროპის ჩემპიონის ოქროს მედალი.**

აღსანიშნავია, რომ ორჭიდში 91 კგ წონით კატეგორიაში გამარჯვებულმა 402,5 კგ დასძლია და უახლოეს კონკურენტს 12,5 კგით გაუსწრო.



**სურათზე: 1993 წლის ევროპის ჩემპიონი კახი კახიაშვილი.**

## უჩვენებს თბილისი

**ეთერშია საქართველო**

### ოთხშაბათი

28 აპრილი

7.25 — ბასტი-ბუბუს აერობიკა. 7.30 — **ალიონი** — საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 13.00 — **ნაშუადღევი** — საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 17.00 — **ვესტნიკი** — საინფორმაციო პროგრამა. 17.15 — მხატვრული ფილმი. 18.35 — განცხადებები. 18.40 — გახსენება — კირილე ვაშაკიძე. 19.25 — ანძა — ტელემარკეტინგი. 19.35 — მართალი კაცი. 19.55 — რეკლამა. 20.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 20.40 — ჩვენ. 21.05 — ანიდან ჰაემდე — სატელევიზიო ლიტერატურული პროგრამა. 22.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 22.15 — სუპერფინალური მატჩი კალათბურთში: „ვითა" (თბილისი) — „მერანი" (თბილისი). 23.15 — ვიდეო... ვიდეო... 23.45 — **ქვიშის საათი** — საინფორმაციო პროგრამა. 24.00 ვიდეო... ვიდეო... (გაგრძელება).

### ხუთშაბათი

29 აპრილი

7.25 — ბასტი-ბუბუს აერობიკა. 7.30 — **გამარჯობა, საქართველო!** — საინფორმაციო-შემეცნებითი პროგრამა. 13.00 — **ნაშუადღევი** — საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 13.45 — ანძა — ტელემარკეტინგი. 17.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 17.15 — მხატვრული ფილმი. 18.20 — მხატვრის სახელოსნოში. 19.05 — განცხადებები. 19.10 — რამპა. 19.15 — „კიდევაც დაიზრდებიან..." 19.55 — რეკლამა. 20.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 20.40 — კონცერტი. 21.25 — მკლავჭიდელები. 22.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 22.15 — მხატვრული ფილმი „ვარსკვლავის სიკვდილი". 23.50 — **ქვიშის საათი** — საინფორმაციო პროგრამა. 24.00 — მუსიკალური ექსტაზი.



### პარასკევი

30 აპრილი

7.25 — ბასტი-ბუბუს აერობიკა. 7.30 — **ალიონი** — საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 13.00 — **ნაშუადღევი** — საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 17.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 17.15 — მხატვრული ფილმი. 18.45 — განცხადებები. 18.50 — ანძა — ტელემარკეტინგი. 19.00 — გახსენება — იუზა კუბლაშვილი. 19.55 — რეკლამა. 20.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 20.40 — პოლიტიკა. 21.20 — ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში. 22.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 22.15 — კახი კახიაშვილი — ოლიმპიური ჩემპიონი. 22.50 — თუ მუსიკა გიყვართ... 23.50 — **ქვიშის საათი** — საინფორმაციო პროგრამა.

**გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელი, ცნობილი ქართველი მეცნიერი და არქიტექტორ-რესტავრატორი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, აღმოსავლეთის ქვეყნების არქიტექტურის აკადემიის საპატიო წევრი, პროფესორი**

**ვახტანგ ბერონის ძე ცინცაძე**

**და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.**

**საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო იუწყება, რომ გარდაიცვალა სამინისტროს მთავარი სპეციალისტი**

**მიხეილ გაბრიელის ძე გამისთვალოვი**

**და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

**ფირმა „სალომე"**

ერთი პირის საწარმოო კომერციული ფირმა „სალომე"-ს ტურისტული ბიურო 14 მაისს და შემდგომშიც გთავაზობთ ტურისტულ მოგზაურობას შემდეგ ქვეყნებში: უნგრეთი, რუმინეთი, სლოვაკია, იუგოსლავია, საბერძნეთი, იტალია, საფრანგეთი.

ცნობებისათვის დარეკეთ: 95-90-24; 35-11-82.

მოქალაქეებისა და საქმიანი წრეების საყურადღებოდ!

„თბილკომბანკი" "TBILCOMBANK"

გაცნობებთ რომ,
26 აპრილიდან შეწყდა
„თბილკომბანკის" მე-2 გამოშვების
სადეპოზიტო სერთიფიკატების რეალიზაცია.

მისამართი: თავისუფლების მოედანი შ. დადიანის ქ. N2 (მე-3 სართული).
ტელ. 98-53-97; 98-47-70.

**საზოგადოება „ოაზისი"**

**გთავაზობთ ეფექტურ მკურნალობას ლაზერული თერაპიის უახლესი მიღწევების გამოყენებით**

მეთოდი, რომლითაც უცხოეთში წარმატებით სარგებლობენ, დღეს მხოლოდ ჩვენთან გამოიყენება, მკურნალობას უკუჩვენებები არა აქვს; იგი არ საჭიროებს ძვირადღირებულ მედიკამენტებს, უმტკივნეულო და მაღალეფექტური პროცედურებით 2 კვირაში შეგიძლიათ აღიდგინოთ ჯანმრთელობა კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადების, გასტრიტების, წყლულოვანი კოლიტის, ქრონიკული პანკრეატიტის, ქოლეცისტიტის, პროსტატის, ცისტიტის, ტროფიკული წყლულების და გინეკოლოგიური დაავადებების შემთხვევაში.

მიღება წარმოებს ყოველდღე 10-დან 16 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). მისამართი: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გ. № 16, № 2 სავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანება, ლაზერული თერაპიის კაბინეტი № 210. (ტროლ. 4, 5, 11, 18; ავტ. 2, 20, 205, 209, 217, 227).

მკურნალობა ფასიანია.

# კერძო ტიპის აფთიაქების ლიცენზირების დროებითი წესი

1. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ნებადართულია მხოლოდ ჯანდაცვის სამინისტროსთან არსებული ფარმაკოლოგიური კომიტეტის მიერ ლიცენზირებული აფთიაქების ფუნქციონირება.

ლიცენზია გაიცემა თანდართული ნიმუშის მიხედვით (დანართი 1).

2. ყველა იურიდიული პირი, რომელსაც თავისი საქმიანობის მარეგლამენტირებელ დოკუმენტში (დებულება, წესდება და სხვა) გაცხადებული აქვს სამკურნალწამლო საშუალებათა რეალიზაცია ან შენახვა, ეწევა აღნიშნულ საქმიანობას ამჟამად, ვალდებულია მიიღოს ლიცენზია ქვემოთ მოყვანილი წესის შესაბამისად 1993 წლის 1 ივნისამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ არ ექნებათ ფუნქციონირების უფლება.

3. ლიცენზიის მისაღებად ფარმაკოლოგიურ კომიტეტში უნდა იქნას წარმოდგენილი შემდეგი საბუთები:

— განცხადება ფარმაკოლოგიური კომიტეტის თავმჯდომარის სახელზე კერძო ტიპის აფთიაქის ფუნქციონირების ლიცენზიის მიღების თაობაზე;

— ადგილობრივი მუნიციპალური ორგანოს დასკვნა აფთიაქის შენობისა და ალჭურვილობის შესაბამისობის შესახებ წაყენებული მოთხოვნებისადმი (დანართი 2) და მის მიერვე დამოწმებული აფთიაქის სათავსოების ნახაზი მისამართის ჩვენებით.

4. საბუთების წარმოდგენის დღიდან 1 თვის ვადაში განმცხადებელს წერილობით ეცნობება მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

5. ლიცენზიის მისაღებად განმცხადებელი ვალდებულია პირადად გამოცხადდეს ფარმაკოლოგიურ კომიტეტში პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და ხელწერით დაადასტუროს, რომ გაცნობილია აფთიაქის ფუნქციონირების რეგლამენტს და იღებს პასუხისმგებლობას წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებული წესების განუხრელ შესრულებაზე.

6. ლიცენზიის მისაღებად განმცხადებელი ვალდებულია შეიტანოს ფარმაკოლოგიური კომიტეტის სპეციალურ ანგარიშზე 1 ათასი მანეთი.

7. ყველა ლიცენზირებული აფთიაქი აღირიცხება ფარმაკოლოგიურ კომიტეტში.

8. ლიცენზია ძალაშია ჯანმრთელობის დაცვის შესახებ რესპუბლიკის ახალი კანონის მიღებამდე.

9. აფთიაქის მეპატრონე ვალდებულია წელიწადში ორჯერ წარმოადგინოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში სტატისტიკური ინფორმაცია წამალთა ბრუნვის შესახებ.

10. აფთიაქის ფუნქციონირების წესების დარღვევის შემთხვევაში მფლობელს ჩამოერთმევა ლიცენზია, რის შესახებაც ეცნობება ადგილობრივ მუნიციპალურ ორგანოს და მოეთხოვება აფთიაქის ფუნქციონირების შეწყვეტა.

11. განმეორებითი ლიცენზიის მიღების შესახებ განცხადება განიხილება არანაკლებ 3 თვის შემდეგ ლიცენზიის ჩამორთმევის დღიდან.

## დანართი 1

### საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან არსებული ფარმაკოლოგიური კომიტეტი

თბილისი, 380060, ჴ. გამსახურდიას გამზ. 30, ტელ.: 387866.

**ლიცენზია №**

———————199 წ.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წ. 10 თებერვლის № 80 დადგენილების თანახმად ჯანდაცვის სამინისტროსთან არსებული ფარმაკოლოგიური კომიტეტის სალიცენზიო კომისიის გადაწყვეტილებით (ოქმი № )

(ფირმის, დაწესებულების სახელწოდება, მისამართი) ————

აფთიაქს, რომელიც რეგისტრირებულია ————

(ადგილობრივი თვითმმართველობის)

ორგანოს დასახელება, თარიღი, რეგისტრაციის №

და რომლის ფართობი შეადგენს ———— კვ. მ. (საერთო ფართობი)

(მისამართი) ————

მათ შორის სამარაგო სათავსოს ფართობი ———— კვ. მ.

(მისამართი) ————

ეძლევათ სამკურნალწამლო საშუალებების შენახვისა და რეალიზაციის უფლება.

ფარმაკოლოგიურ კომიტეტის
თავმჯდომარე
კომისიის თავმჯდომარე
ბ. ა.

## დანართი 2

### მოთხოვნები კერძო ტიპის აფთიაქის შენობისა და აღჭურვილობის მიმართ

**კერძო** ტიპის აფთიაქი უნდა შედგებოდეს არანაკლებ ორი სათავსოსაგან: სავაჭრო ოთახისა და სამარაგო სათავსოსაგან.

სავაჭრო ოთახში ხდება მხოლოდ საქარხნო წესით შეფუთული მედიკამენტების და სხვა სამედიცინო საქონლის რეალიზაცია. მისი ფართობი უნდა იყოს არანაკლებ 5 კვ. მ.

სამარაგო სათავსოში მედიკამენტები და სხვა სამედიცინო საქონელი უნდა ინახებოდეს ფარმაკოლოგიური და ფიზიკო-ქიმიური თვისებების გათვალისწინებით. თერმოლაბილური მედიკამენტები უნდა ინახებოდეს სამარაგო სათავსოს მაცივარში.

სამარაგო სათავსოს ფართობი უნდა იყოს არანაკლებ 10 კვ. მ. იგი უნდა იყოს მშრალი და სინათლისგან დაცული, მასში უნდა იყოს უზრუნველყოფილი ვენტილაცია და ტემპერატურული რეჟიმის დაცვა, რათა არ იქნას დარღვეული სამედიცინო საქონლის სასაქონლო სახე. სხვადასხვა ფარმაკოლოგიური ჯგუფების მედიკამენტები უნდა ინახებოდეს ერთმანეთისაგან დაცილებულ, ადვილად მისადგომ თაროებზე.

დამხმარე სათავსოში აკრძალულია სხვა მოწყობილობებისა და საგნების შენახვა, რომლებიც არ არიან დაკავშირებული სამედიცინო საქონლის რეალიზაციასთან.

**მხოლოდ ჩვენ!**

**გაგიკეთებთ** რუსეთში თქვენი სახსრების კონვერტაციას და გადმოგიტანთ საქართველოში!

**ტელ.: 95-31-68.**

**ერთობლივი საწარმო „შინო-ინვესტი".**

მთავარი რედაქტორი ზურაბ გოგიაშვილი.

○ მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
○ ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29.
ტელეფონი — 34-73-45.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0488.

SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА

ინდექსი 66434